

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა
მაკროეკონომიკის მიმართულემა



ა ნ ი მ ე ს ხ ი

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი თემაზე:

ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური მოდელები

მეცნიერ ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი,
ნაზირა კაკულია

თბილისი

2019

ანოტაცია

სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე ტრანსფორმაციის პროცესი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოვლენაა. ტრანსფორმაციის პროცესის კვლევისადმი ინტერესი დროთა განმავლობაში იზრდებოდა და შედეგები მიუთითებს არამხოლოდ ინსტიტუტების მნიშვნელოვნებაზე, არამედ, იმაზეც, რომ მათი ევოლუცია დამოკიდებულია არსებულ საწყის მდგომარეობასა და პოლიტიკურ მხარდაჭერაზე. ინსტიტუციური ევოლუციის გზა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ქვეყნებში, რადგან ევოლუციურ პროცესზე გავლენას ახდენს არამხოლოდ ფორმალური წესები და კონსტიტუციები, რომლებიც შეიძლება მსგავსი იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ, არაფორმალური წესებიც.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია ინსტიტუციური გარემოს ანალიზი და მისი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე.

ნაშრომში განიხილება როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორიული მოდელები, ასევე ემპირიული შემთხვევაც. ტრანსფორმაციის მოდელებს ერთმანეთისგან განასხვავებს ეკონომიკური ანალიზის მეთოდები, გატარებული პოლიტიკის სიჩქარე და პოლიტიკური სტრუქტურები, შედეგად ჩამოყალიბებულია ეკონომიკური ტრანსფორმაციის ხუთი ალტერნატიული მოდელი.

ნაშრომის კვლევით ნაწილში აგებულ ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელში (VECM) გამოყენებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, როგორც ინსტიტუციური გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორი, სწორედ იმ ინდიკატორებს აერთიანებს, რაზეც ნეონსტიტუციონალიზმი ამახვილებს ყურადღებას. მიღებული შედეგები კი, აჩვენებს, რომ ეკონომიკურ თავისუფლებას აქვს დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა გამოშვების გეპზე, როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის ტრანსფორმაცია, ინსტიტუტები, ევოლუცია, ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური ზრდა, ვექტორული ავტორეგრესია.

Institutional Models of Transition Economy

Annotation

The transition from socialism to capitalism in former socialist economies is one of the main economic events of the twentieth century. Interest in research on transition has grown over time and it shows not only that institutions matter, but also how their evolution depends on initial conditions and on sustained political support. Despite the similar constitutions and formal rules adopted by the different countries the evolutionary path of institutions can vary widely across different countries as long as it is not determined solely on the basis of formal rules and constitutions but informal institutions have an impact as well.

The aim of the Master's thesis is to analyze the institutional environment and evaluate its impact on the Georgian economy.

How institutions affect economic performance is observed through theoretical models and empirical evidence. Transition models can be distinguished on the basis of different methods of economic analysis, different speeds of implementing the transition policies and the different political structures. As a result five alternative models of transition come into being.

Using Heritage Foundation's Index of Economic Freedom as a proxy for institutional environment, which reflects the key elements of the new institutional economics, VEC model provides evidence that it has a positive and statistically significant impact on GDP gap both in the short-run and long-run.

Keywords: Economic Transition, Institutions, Evolution, Economic Freedom, Economic Growth, Vector Autoregression.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. ეკონომიკის ტრანსფორმაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი.....	9
1.1 ინსტიტუციური განვითარება და ტრანსფორმაციის ალტერნატიული მოდელები: შოკური თერაპიისა და ნეოკლასიკურ-გრადუალისტური მოდელი.....	9
1.2 ინსტიტუციური განვითარების პოსტკეინზიანური მოდელი.....	16
1.3 ინსტიტუციური განვითარების პლურალისტურ-საბაზრო და ჩინური მოდელები.....	17
თავი II. ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში(ინდექსების ჭრილში).....	19
2.1 ეკონომიკური თავისუფლება და ინსტიტუციური ტრანსფორმაცია.....	19
2.2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიმოხილვა.....	21
2.3 ბედნიერების ინდექსის მიმოხილვა.....	33
თავი III. ინსტიტუციური ცვლილებების გაანგარიშების მეთოდოლოგიური ასპექტები და მიღებული შედეგების ანალიზი.....	36
3.1 კვლევის მეთოდოლოგიის მიმოხილვა.....	36
3.2 ისტორიული ანალიზი ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის გამოყენებით.....	54
3.3 ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი საქართველოსთვის.....	57
დასკვნა.....	68
გამოყენებული ლიტერატურა.....	71

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე ეკონომიკური პროცესების განხილვისას სულ უფრო პოპულარული ხდება ინსტიტუციური მიდგომა. 1989 წლიდან ეკონომისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი, ყოფილი სოციალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესწავლა. აღნიშნული, გასული საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოვლენაა, ახდენს რა გავლენას, ეკონომიკური მდგომარეობის სრულიად შეცვლით, ასობით მილიონი ადამიანის ყოფაზე. ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლისადმი მზარდი ინტერესი აიხსნება მისი როგორც პოლიტიკური მნიშვნელობით, ასევე, ეკონომიკურ თეორიასთან კავშირით (Roland 2000, 19-20). აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ტრანსფორმაციის როგორც თეორიულად, ასევე, ემპირიულად კვლევა შედარებით ახალ მიმართულებას წარმოადგენს.

ტრანსფორმაცია ერთი ეკონომიკური წესრიგიდან, როგორც წესი, სოციალისტური გეგმური ეკონომიკიდან, მეორე-კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესია. ვინაიდან, ტრანსფორმაცია ეკონომიკის მთლიანი ინსტიტუციური სისტემის შეცვლას გულისხმობს, ძირითად როლს ტრანსფორმაციის პროცესების შედეგებისთვის თამაშობენ ცალკეული ინსტიტუციების სპეციფიკური ტრანზაქციის ხარჯები და ეროვნულ ეკონომიკაში ტრანზაქციის ხარჯების საერთო დონე, რომელიც დამოკიდებულია არსებულ სოციალურ კაპიტალზე. ტრანსფორმაციისთვის საჭირო სტრატეგია, შესაძლებელია დაინერგოს ყველა ინსტიტუციაში ერთდროულად, შოკური თერაპიის სახით, თუმცა, ასევე შესაძლებელია რეფორმების ცალკეულ სფეროებში ეტაპობრივი გატარებაც - გრადუალიზმი. ამ შემთხვევაში, ტრანსფორმაციის წარმატებული განხორციელებისათვის გადამწყვეტია რეფორმების გატარებისას კონკრეტული თანმიმდევრობის დაცვა.

სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე ტრანსფორმაციის პროცესი რიგი საწყისი ინსტიტუტების არსებობას გულისხმობს, მოცემულობად, სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება კი, არსებობის შემთხვევაშიც საფრთხილოა, რადგან ინსტიტუტების კოპირება და იმიტაცია ადვილი არ არის, შედეგები კი შესაძლოა განუსაზღვრელი აღმოჩნდეს.

მოცემულ ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური გარემო მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური სტიმულების მიმართულებაზე, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან პერიოდში განსაზღვრავს საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონეს.

კვლევის მიზნები და ამოცანები: მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია ინსტიტუციური გარემოს ანალიზი და მისი გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ინსტიტუციური ტრანსფორმაციის გაანალიზება და კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა.
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების ანალიზი, ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრზე დაყრდნობით.
- მოძიებული მონაცემების საფუძველზე, ობიექტური მოდელის აგება და მისი ემპირიულად შემოწმება. კერძოდ, ვექტორული შეცდომის შესწორების (Vector Error Correction) მოდელის აგება, მიღებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდის დამოკიდებულებების შეფასება და მათი ადეკვატურობის შემოწმება ეკონომეტრიკული ანალიზით.

კვლევის საგანი და ობიექტი: სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკაში არსებული ეკონომიკური თავისუფლების დონე და მისი განვითარების ტენდენცია, ხოლო კვლევის საგანია ეკონომიკურ ზრდაზე ინსტიტუციური ფაქტორების ზეგავლენის არსებობის გამოვლენა, როგორც მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან პერიოდებში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: კვლევის პროცესში, ძირითადი მაკროეკონომიკური თეორიების გარდა, გამოყენებულია სხვადასხვა თეორიული თუ ემპირიული ნაშრომები და განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების (მემკვიდრეობის ფონდისა (Heritage Foundation) და გაეროს მდგრადი გადაწყვეტილებების ქსელის (UNSDSN)) ანგარიშები.

ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით, ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ მდგომარეობას ინსტიტუციების ფორმირება განსაზღვრავს. სწორედ ეკონომიკურ ინსტიტუტებს შეუძლია ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობაში განსხვავებულობის ახსნა (Robinson et al. 2005, 388-389). ეკონომიკურ ზრდაზე ინსტიტუციური ფაქტორების გავლენის შესაფასებლად გამოყენებულია მრავალცვლადიანი დროითი მწკრივების მეთოდები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ეკონომისტებისა და ეკონომეტრიკოსების მიერ ემპირიული მიდგომისას, ვექტორული ავტორეგრესიის სახით. მოცემულ შემთხვევაში, აგებულ მოდელში ლიმიტირებულია ცვლადების ჩართვა, რადგან საქართველოსთვის დროითი მწკრივი შედარებით მოკლეა და ვერ მოხერხდება მეტი პარამეტრის შეფასება, სასურველი სტატისტიკური მნიშვნელოვნების ფარგლებში.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა: ტრანსფორმაციის პროცესის კვლევისადმი ინტერესი დროთა განმავლობაში იზრდებოდა როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული კუთხით, რასაც ადასტურებს ამ თემაზე პუბლიკაციების მატება აკადემიურ ჟურნალებში, ამასთან ჩამოყალიბდა არაერთი ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელთა კვლევის მთავარ თემას სწორედ ტრანსფორმაციის პროცესი წარმოადგენს. მრავალფეროვანი და საკამათოა ეკონომისტთა ხედვები აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ (Sachs, 1991a; Balcerowicz,

1993; Kolodko and Nuti, 1997; Aslund, 2001).

ნაშრომის კვლევით ნაწილში აგებულ მოდელში გამოყენებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, როგორც ინსტიტუციური გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორი, სწორედ იმ ინდიკატორებს აერთიანებს, რაზეც ნეოინსტიტუციონალიზმი ამხვილებს ყურადღებას და ამ საკითხებს იკვლევდნენ ისეთი ეკონომისტები, როგორებიც არიან დუგლას ნორტი (Douglass C. North 1990), ფრიდრიხ ჰაიეკი (Friedrich Hayek 1945, 1960), ერნანდო დე სოტო (Hernando de Soto 1989), ჯერალდ სქალი (Gerald Scully 1988, 1992) და სხვ. მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების როლი ეკონომიკურ ზრდაში, ბარო (Barro 1997) ემპირიულად აჩვენებს რომ საკუთრების უფლებისა და თავისუფალი ბაზრების არსებობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. არსებული კვლევები ასევე ადასტურებს რომ დადებითი კორელაცია არსებობს ერთის მხრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისუფლებასა და მეორეს მხრივ, ეკონომიკურ ზრდას შორის (Scully 1988, 1992; Goldsmith 1995; Leblang 1996; Nelson and Singh 1998; Berggren 2003; Berggren and Kurrild-Klitgaard, 2004; De Haan et al., 2006).

ნაშრომის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება სამი თავისა და ცხრა ქვეთავისგან. პირველ თავში განხილული არის ეკონომიკის ტრანსფორმაციის შესახებ არსებული თეორიული მოდელები, ინსტიტუციური ეკონომიკის კუთხიდან. ეკონომიკური განვითარება ინსტიტუციური ევოლუციის საფუძველზეა ახსნილი და ერთმანეთისგან განსხვავებულია ინსტიტუციური განვითარების ოთხი გზა.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ასპექტების როლი. ნაშრომში ჩამოყალიბებული და დახასიათებულია ტრანსფორმაციის ხუთი ალტერნატიული მოდელი.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი და მათთვის დამახასიათებელი რიგი სპეციფიკური ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემები. ზოგადად, ინსტიტუციური ეკონომიკური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ინსტიტუტების ხარისხობრივი მახასიათებლების რაოდენობრივი სახით გამოსახვა. ამ შემთხვევაში, არსებული ინსტიტუციური გარემო დახასიათებულია ინდექსების, კერძოდ კი, ეკონომიკური თავისუფლებისა და ბედნიერების ინდექსების ქრილში.

რაც შეეხება მესამე თავს, გაანალიზებულია ეკონომიკური თავისუფლების ზეგავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე. აგებულია ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, რომელიც ეყრდნობა მონაცემებს გამოშვების გეპის, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისა და ინფლაციის შესახებ. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი გაკეთებულია დასკვნები.

ემპირიულ კვლევაში საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია მსოფლიო ბანკისა და მემკვიდრეობის ფონდის მონაცემთა ბაზები, ხოლო მონაცემთა დამუშავება განხორციელდა MS Excel და EViews 9 კომპიუტერული პროგრამის საშუალებით.

თავი I. ეკონომიკის ტრანსფორმაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი

1.1 ინსტიტუციური განვითარება და ტრანსფორმაციის ალტერნატიული მოდელები: შოკური თერაპიისა და ნეოკლასიკურ-გრადუალისტური მოდელები

ინსტიტუციონალისტი ეკონომისტები განიხილავენ აქვს თუ არა ინსტიტუტებს გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. უმეტესად, ისინი ყურადღებას უთმობენ ინსტიტუციურ ცვლილებებსა და ევოლუციას და ნაკლებად კონცენტრირდებიან მათ საწყისებზე, რადგან, საბოლოო ჯამში, ცვლილებებია განვითარების საფუძველი (Ostrom 2007, 240), რაც დროის გარკვეულ პერიოდს მოითხოვს.

რაც შეეხება თეორიულ მიდგომას ინსტიტუციური ეკონომიკისადმი, განვიხილოთ სამი განსხვავებული შემთხვევა.

პირველია ძველი ინსტიტუციური ეკონომიკა, რომელიც უარყოფს მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმისა და სარგებლიანობის მმაქსიმიზირებელ რაციონალური ინდივიდის კონცეფციებს. მათ ნაცვლად, ძველი ინსტიტუციური ეკონომიკა ყურადღებას ამახვილებს ჩვეულებების, ქცევითი და სოციალური წესების როლზე ადამიანის ქმედებაში. ამ მიდგომის მიხედვით, ეკონომიკურ ანალიზში ინსტიტუტების მნიშვნელობა დიდია, თუმცა არაა აუცილებელი რომ ისინი ეკონომიკურად და სოციალურად ეფექტიანები იყვნენ. ინსტიტუტები იქმნება სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვისა და მომსახურებისათვის.

მეორე მიდგომაა ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა, რომელიც ინარჩუნებს კავშირს ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიასთან ინდივიდუალური სარგებლის მაქსიმიზაციისა და ზღვრული ანალიზის კონცეფციებით, ასევე, ითვალისწინებს ტრანზაქციულ დანახარჯებს, ინფორმაციულობის პრობლემასა და შეზღუდულ რაციონალურობას. ინსტიტუტების მთავარი ფუნქციაა განუსაზღვრელობის შემცირება და სოციალური ურთიერთობების განვითარებისათვის საჭირო გარემოს უზრუნველყოფა.

მესამე მიდგომაა თავად ნეოკლასიკური თეორია, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს სხვა განაწილების მექანიზმი გარდა ბაზრისა, სადაც ფასები განისაზღვრება. ინსტიტუტები ეგზოგენურადაა მოცემული და არ გაითვალისწინება ეკონომიკურ ანალიზში, ნორმებთან და ქცევებთან ერთად. ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, ინფორმაციის სრულყოფილად არსებობის პირობებში, ტრანზაქციის ხარჯები ნულს უტოლდება. ამ შემთხვევაში, ინსტიტუტები

არ არის საინტერესო ანალიზისთვის, პირიქით, ისინი აფერხებენ ეკონომიკურ აქტივობას. ზოგადად, ნეოკლასიკური თეორიების თანახმად საბაზრო ურთიერთობის მთავარი სუბიექტია ე.წ. „რეპრეზენტატიული აგენტი“, რომელსაც აქვს ინფორმაცია როგორც წასულში მომხდარი მოვლენების, ასევე აწმყოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რის საფუძველზეც მას რაციონალური მოლოდინები უყალიბდება და მის ოპტიმიზირებულ ქცევას განაპირობებს, რაც საბაზრო სისტემას თავიდან აცილებს არასასურველი ხასიათის რყევებს (მექვაბიშვილი 2015, 11).

ინსტიტუციური მიდგომისას, ცენტრალური ადგილი უკავიათ ტერმინებს: ნორმები, ტრანზაქციული დანახარჯები, არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუტები.

ნორმები, ეს არის მოცემული იდენტურობის მქონე ინდივიდის ქცევის სტანდარტი (Finnemore and Sikkink 1998, 891).

ტრანზაქციული დანახარჯები წარმოიქმნება გაცვლის, აქტივობის წამოყების, საკუთარი საქმიანობის დაცვის, ინფორმაციის შეგროვების, არსებული ინსტიტუციური სტრუქტურის შეცვლის დროს. ის არამხოლოდ ფინანსურ დანახარჯს წარმოადგენს, არამედ ამ პროცესში დახარჯულ დროსა და რესურსებსაც.

არაფორმალური ინსტიტუტები, ეს არის ჩვეულებები, მორალური ღირებულებები, ტრადიციები და სხვა ქცევითი ნორმები, რომლებიც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული და ინდივიდის ქცევას განაპირობებს. ეს არაფორმალური წესები საზოგადოების დინამიკური ევოლუციისა და კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

ფორმალური ინსტიტუტები კი, ზოგადად, განისაზღვრება როგორც კანონის სფერო, კონსტიტუციებით, რეგულაციებითა და ორგანიზაციებით. პირდაპირი კავშირი არსებობს ფორმალურ წესებსა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ სტრუქტურას შორის, ინსტიტუტების ქმედითუნარიანობა კი უზრუნველყოფილია სამართლებრივი გარემოს არსებობის პირობებში.

ნორტი, ეკონომიკურ მდგომარეობებს შორის განსხვავებებს ხსნის იმის მიხედვით, თუ მოცემულ სოციალურ კონტექსტსა და ისტორიულ პერიოდში როგორ განიცადეს ინსტიტუტებმა ევოლუცია (North 1990, 113). ინსტიტუციური ევოლუცია ისეთ სპეციფიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა ახლად შექმნილი კანონები, მოცემული ქვეყნის ისტორია, ღირებულებები და ტრადიციები (Ostrom 2005, 16). ამიტომ, ინსტიტუციური ევოლუციის გზა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ქვეყნებში, რადგან ევოლუციურ პროცესზე გავლენას ახდენს არამხოლოდ ფორმალური წესები, კანონები და კონსტიტუციები, რომლებიც შეიძლება მსგავსი იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ არაფორმალური წესებიც.

ამ ყველაფრისა და ძველი ინსტიტუციური ეკონომიკური მიდგომით, რომლის მიხედვითაც ინსტიტუტების როლი დიდია ეკონომიკურ განვითარებაში, ნაშრომში განიხილება როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის თეორიული მოდელები, ასევე, ემპირიული შემთხვევაც.

ნორტი, ეკონომიკურ განვითარებას ინსტიტუციური ევოლუციის საფუძველზე ხსნის (North 1990, 114), რომელიც ისეთ სპეციფიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა მოცემული ქვეყნის ისტორია, ღირებულებები და ტრადიციები. ცხადია, ინსტიტუციური ევოლუციის გზა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და მნიშვნელოვანი კითხვაა თუ როგორ ვითარდებიან ინსტიტუტები და რა განსაზღვრავს ინსტიტუციურ ცვლილებას.

ჰოდსონი კი, ძველი ინსტიტუციური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების მსგავსად, ბევრ საერთო ნახულობს ინსტიტუტების ევოლუციურად განვითარების პროცესსა და ბუნებრივ, ბიოლოგიურ ევოლუციას შორის (Hodgson 1995, 471). ამ მიდგომის მიხედვით, ინსტიტუციური ცვლილებები მკაცრად ენდოგენურია, რომელიც საფუძველია ეკონომიკურ-სოციალური განვითარებისა.

შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ინსტიტუციური განვითარების შემდეგი ოთხი გზა :

ცვლილება ტექნოლოგიაში → ფორმალური და არაფორმალური ცვლილება → ახლად შექმნილი ქცევის მანერები და ჩვევები.

ცვლილება სტრატეგიაში → ფორმალური ცვლილება → ახლად შექმნილი ქცევის მანერები და ჩვევები → არაფორმალური ცვლილება.

ცვლილება ღირებულებებში → ახლად შექმნილი ქცევის მანერები და ჩვევები → არაფორმალური ცვლილება → ფორმალური ცვლილება.

რევოლუცია → ფორმალური ცვლილება → არაფორმალური ცვლილება.

ფორმალურიდან არაფორმალურ ცვლილებებამდე გარდამავალი პროცესი არაა მარტივი და გარკვეულ დროსაც მოითხოვს. თავდაპირველად, სანამ საზოგადოება მიიღებს ახალ ინსტიტუტებს, ინერციულობა აფერხებს ინსტიტუციურ ევოლუციას.

რაც შეეხება განვითარების პირველ გზას, ვებლენის კუმულაციური ცვლილება ხსნის ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკას (Veblen 1898, 381). ძირითადად, ის იწყება ტექნოლოგიური ინოვაციით, რომელიც ცვლის ქცევის მანერებსა და ჩვევებს საზოგადოებაში, რასაც მოჰყვება ინოვაციები მეცნიერების დარგებში. ვებლენის მიხედვით, ტექნოლოგიური ცვლილება გადადის ინსტიტუციურ ცვლილებაში, რასაც მოჰყვება კუმულაციური პროცესი.

ვებლენის კუმულაციური ცვლილების იდეა ასევე, ნებისმიერი ფორმალური ცვლილების საფუძველს წარმოადგენს, რაც განვითარების მეორე გზას შეესაბამება.

ცვლილება ღირებულებებში, განვითარების მესამე გზაა, როგორც ზემოთაა აღნიშნული. ამ მიდგომის მიხედვით, ინსტიტუტების ჩამოყალიბების შემდეგი პროცესი იქმნება:

ღირებულებები → დამოკიდებულება → ცოდნა → ქცევა → ჩვევა.

ღირებულებებში ცვლილება საკმარისი წინაპირობაა ინსტიტუტებში ცვლილების

გამოსაწვევად, მაგრამ არა სავალდებულო, რადგან ინსტიტუტების ცვლილება ღირებულებებში ცვლილების გარეშე შეიძლება მოხდეს (Fadda 2002, 21).

საბოლოოდ, ინსტიტუციური ტრანსფორმაციას შეიძლება ბიძგი რევოლუციამ მისცეს, როდესაც რადიკალური გარდაქმნები ხდება ორგანიზაციებში, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სისტემაში, რაც დაუყოვნებლივ შეცვლის ფორმალურ გარემოს საზოგადოებაში, ინდივიდთა ქცევისგან განსხვავებით.

რაც შეეხება ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესს, გეგმურად მართული ეკონომიკების კოლაფსის შემდეგ განვითარება დაიწყო საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებულმა ეკონომიკებმა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მეტად მნიშვნელოვანი გახდა ისეთი ცნებები, როგორებიცაა : ფასები, კრედიტი, უმუშევრობა, ფულის მიწოდება, საპროცენტო განაკვეთები და რომლებიც მანამდე არც განიხილებოდა (Aslund 1995, 40). აღსანიშნავია, რომ ტრანსფორმაციის პროცესი არ დაიყვანება მხოლოდ ეკონომიკის დარგამდე, მის გასააზრებლად მნიშვნელოვანია მისი განხილვა უფრო ფართო, სოციალური მეცნიერებების კონტექსტში და არსებითია ინსტიტუციური ასპექტების როლი. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შედეგად, ალტერნატიული ინსტიტუციური სტრუქტურების არსებობა განაპირობებს განსხვავებული ეკონომიკური სისტემების არსებობას.

1990-იანი წლებიდან, აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზისას, დომინირებდა „ინსტიტუციური მოდელების“ მიმართულება (Balcerowicz, 1995; Dewatripont and Roland, 1992; Marangos, 2005a). ამ მხრივ, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების სიჩქარე არის ფაქტორი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ორ მოდელს: შოკურ თერაპიასა და გრადუალიზმს. შოკური თერაპიის მხარდამჭერების აზრით, რეფორმები უნდა გატარებულიყო რაც შეიძლება სწრაფად (Balcerowicz, 1995; Lipton and Sachs, 1990). ამ დარგში ორი მოწინავე თეორეტიკოსის, ლიპტონისა და საქსის მიხედვით, რეფორმების გატარება ერთ სფეროში ხელს შეუწყობდა სხვა სფეროებში რეფორმების ეფექტიანობას, ინტერაქტიული მეთოდით, ამიტომ, შოკური თერაპიის განხორციელება უფრო ეფექტიანად მიაჩნდათ, ვიდრე გრადუალიზმი (Lipton and Sachs, 1990, 99). შოკური თერაპიის მოდელის კრიტიკის საფუძველზე განვითარდა გრადუალიზმი და ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებაში, რეფორმების ნელი ტემპით გატარებას მოიაზრებდა (Veebel and Namm 2016, 390).

მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღნიშნული მიმართულებით გადაიდგა ჯონ მარანგოს მიერ, კოლორადოს უნივერსიტეტიდან, რომელმაც შეიმუშავა ტრანსფორმაციის ხუთი მოდელი (Marangos 2005b, 390). აღნიშნული ალტერნატიული მოდელები ტრანსფორმაციის პროცესს განსხვავებულად წარმართავენ.

მოდელები აერთიანებს ეკონომიკური ანალიზის სამ სხვადასხვა მეთოდს - ნეოკლასიკური, პოსტკეინზიანური, მარქსისტული, ორ განსხვავებულ პოლიტიკურ სტრუქტურას - პლურალიზმი და არაპლურალიზმი, საზოგადოებრივი წყობის ოთხ განსხვავებულ მეთოდს - თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი, სოციალ-დემოკრატიული კაპიტალიზმი, საბაზრო სოციალიზმი და საბაზრო სოციალიზმი ჩინური მახასიათებლებით, ტრანსფორმაციის ორ განსხვავებულ სიჩქარეს - გრადუალიზმი და დაუყოვნებლივ ტრანსფორმაცია.

შედეგად, მიიღება ტრანსფორმაციის ხუთი ალტერნატიული მოდელი (Marangos 2005b, 391):

შოკური თერაპიის მოდელი - ნეოკლასიკური ეკონომიკური ანალიზი, პლურალისტური პოლიტიკური სტრუქტურა, თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი და დაუყოვნებლივ ტრანსფორმაცია;

ნეოკლასიკურ-გრადუალისტური მოდელი - ნეოკლასიკური ეკონომიკური ანალიზი, პლურალისტური პოლიტიკური სტრუქტურა, თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი და გრადუალისტური ტრანსფორმაცია;

პოსტკეინზიანური მოდელი - პოსტკეინზიანური ეკონომიკური ანალიზი, პლურალისტური პოლიტიკური სტრუქტურა, სოციალ-დემოკრატიული კაპიტალიზმი და გრადუალისტური ტრანსფორმაცია;

პლურალისტურ-საბაზრო სოციალისტური მოდელი - მარქსისტული ეკონომიკური ანალიზი, პლურალისტური პოლიტიკური სტრუქტურა, საბაზრო სოციალიზმი და გრადუალისტური ტრანსფორმაცია;

არაპლურალისტურ - საბაზრო სოციალისტური მოდელი (ტრანსფორმაციის ჩინური მოდელი) - მარქსისტული ეკონომიკური ანალიზი, არაპლურალისტური პოლიტიკური სტრუქტურა, საბაზრო სოციალიზმი (ჩინური მახასიათებლებით) და გრადუალისტური ტრანსფორმაცია.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურის განვითარება ტრანსფორმაციის პროცესის მოდელირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია (Sachs 1991b, 30). საბაზრო პროცესისთვის შესაბამისი ინსტიტუტების განვითარება ან მათი ძირეული შეცვლა საკმაოდ კომპლექსური საკითხი აღმოჩნდა, რომელიც გარკვეულ დროსაც მოითხოვდა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა შოკური თერაპიის მიდგომის განხორციელება. თუმცა, საკუთრების უფლებები და ინსტიტუციური სტრუქტურა, სხვა ნებისმიერი საქონელის მსგავსად, მომხმარებლების მიერ ფასდება, რომლებიც განსაზღვრავენ არა მხოლოდ გამოშვების, არამედ ინსტიტუტების კომპოზიციასაც. შოკური თერაპიის მოდელის მომხრეების მიხედვით, საბაზრო ურთიერთობების განვითარების გადადება სულაც არ არის აუცილებელი მანამ, სანამ შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურა არ ჩამოყალიბდება, არამედ, მხოლოდ ელემენტარული ეკონომიკური ან საკანონმდებლო გარემოს არსებობა მოითხოვება (Aslund 1992, 11). როგორც კი

ბაზრები განვითარდებიან, საკანონმდებლო სისტემაც მის საპასუხოდ ჩამოყალიბდება. ამრიგად, ინსტიტუციური სტრუქტურა საჭირო, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო საჭირო რეფორმების გასატარებლად (Klaus 1995, 46). ეფექტიანი ინსტიტუტები წინასწარი განზრახვით ვერც შეიქმნებოდა, რადგან მთავრობებსა თუ ინდივიდებს არ ჰქონდათ ცოდნაზე დაფუძნებული წარსული გამოცდილება და ვერც სავარაუდო შედეგები განისაზღვრებოდა წინასწარ. ამგვარად, არ არსებობდა გზამკვლევი საბაზრო ინსტიტუტების განვითარებისთვის.

კერძო საწარმოები და საბაზრო ურთიერთობები თავისთავად ქმნიან შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს არსებობის საჭიროებას. ფაქტები გვიჩვენებს რომ ინსტიტუციური განვითარება სტიმულირდება ადრეული და რადიკალური რეფორმების გატარების შედეგად (Aslund et al., 1996, 249). ამასთან ერთად, რეფორმების წარმატებულად გატარების გარანტიას იძლევა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური რესურსების მიწოდება, კორუფციის არარსებობასთან ერთად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი რეფორმები დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს (Marangos 2007, 89). ავტორის განმარტებით, საჭიროა 16 განსხვავებული რეფორმის გატარება, რომლებიც შემდეგ 7 სუბკატეგორიაში ხვდება :

- 1) ფასების ლიბერალიზაცია;
- 2) პრივატიზაცია;
- 3) თანდათანობით ინსტიტუციური განვითარება;
- 4) მკაცრი მონეტარული პოლიტიკა;
- 5) ბალანსირებული ფისკალური პოლიტიკა;
- 6) საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- 7) შეზღუდული სოციალური პოლიტიკა და სოციალური უზრუნველყოფა.

ლიბერალიზაციის შედეგად, სახელმწიფოს მხრიდან ფასებზე კონტროლი მოიხსნება პირველივე წლის განმავლობაში. საშემოსავლო პოლიტიკა (ე.ი ხელფასების კონტროლი და მინიმალური ხელფასები) მთელი სამოქმედო პერიოდის განმავლობაში ლიბერალური უნდა იყოს. ყველა სახელმწიფო კომპანიის პრივატიზაციის პროცესი უნდა დაიწყოს და დასრულდეს პირველივე წლის განმავლობაში. უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ეროვნული ბანკი, პირველივე წლის განმავლობაში. ფისკალურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება პირველივე წლის განმავლობაში. საერთაშორისო ვაჭრობა უნდა იყოს იმდენად ლიბერალური, რამდენადაც ეს შესაძლებელია და ყველა ტარიფი და ქვოტა უნდა გაუქმდეს ორი წლის განმავლობაში.

ნეოკლასიკურ-გრადუალისტური მოდელის მხარდამჭერი ეკონომისტები იზიარებდნენ

ქოუზის თეორემას და გამართულად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ნათლად ჩამოყალიბებულ საკუთრების უფლებებს მიიჩნევდნენ. საბაზრო კაპიტალიზმის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო რომ ინსტიტუციურ სტრუქტურას დაეცვა კერძო საკუთრება, აღესრულებინა კონტრაქტები და ზოგადად, შეექმნა სტაბილურად კანონიერი გარემო.

ნეოკლასიკოს-გრადუალისტი ეკონომისტები მიიჩნევდნენ რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს გამართული ინსტიტუციური სტრუქტურა შეამსუბუქებდა, აღნიშნული სტრუქტურის განვითარება კი თანმიმდევრული, ბუნებრივი, ორგანული, ნებაყოფლობითი პროცესი უნდა ყოფილიყო და არა მთავრობის მხრიდან მართული (Kolodko 2000, 274).

ინსტიტუციური განვითარება კომპლექსური ევოლუციური პროცესია, მოვლენების თანმიმდევრული განვითარება გარკვეულ დროს მოითხოვს იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ინსტიტუციური პრინციპები და გამოიკვეთოს ის ინსტიტუტები, რომლებიც დასმულ საკითხს შეესაბამებიან.

მნიშვნელოვანია მთავრობის როლი გარდამავალ პერიოდში, სხვა შემთხვევაში, სავაჭრო ურთიერთობები ვერ შედგებოდა საბაზრო ინსტიტუტების არარსებობის გამო (Kornai 1994, 47). რადგან ინსტიტუტები ნელა იცვლებიან, დიდ ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკასა და მის სტაბილიზაციაზე, გრადუალისტური მოდელის მთავარი იდეაა ეკონომიკური, ინსტიტუციური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბება, მანამ, სანამ დაიწყება ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარება.

1.2 ინსტიტუციური განვითარების პოსტკეინზიანური მოდელი

ინსტიტუციონალისტები აკრიტიკებდნენ პოსტკეინზიანელებს, რადგან ანალიზში ინსტიტუტებს არასაკმარის მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაშინ, როდესაც შესაძლებელია პოსტკეინზიანური ეკონომიკური ანალიზის გაფართოვება ინსტიტუციური პარადიგმის ჩართვის შედეგად (Hodgson 1988, 241).

პოსტკეინზიანელები, განიხილავენ რა ეკონომიკურ პროცესებს დინამიკაში, რომლის საფუძველსაც ინსტიტუციური გარემო წარმოადგენს, ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისას გვერდს ვერ აუვლიან ინსტიტუტების განხილვას. მათი თვალსაზრისით არ შეიძლება ეკონომიკა განიხილებოდეს ისტორიისგან დამოუკიდებლად. ინსტიტუტები განხილვის საგანს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც თავად ისტორია (Smyth 1998, 378). ასევე, ჩვენი მოქმედებები განპირობებულია ისტორიის მიერ და მის მიერვე შეზღუდული (Brockway 1998, 164). ეკონომიკური ქმედებები განიხილება ისტორიულ კრილში, სადაც, წარსული გამოცდილებები, ინსტიტუტების ევოლუციასთან ერთად გავლენას ახდენს მიმდინარე ქმედებებზე, რომლებიც, თავის მხრივ მომავალს განსაზღვრავენ. ეკონომიკურ ქცევაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ინსტიტუტები, რადგან, ინდივიდები არამხოლოდ ატომისტიკური არსებები არიან, არამედ, სოციალურებიც და ეკონომიკური ქცევაც ეკონომიკურ-სოციალურ კონტექსტში განიხილება. ინსტიტუციური განვითარების ტემპი განსაზღვრავს რეფორმების გატარების მიმართულებას, ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმები კი შეიძლება არ შესრულდეს არა ლიბერალიზაციის პროცესის სწრაფი ან ნელი ტემპით მიმდინარეობის გამო, არამედ, ინსტიტუციური რეფორმების ნელი ტემპით განხორციელების მიზეზით.

ინსტიტუციური სტრუქტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია კულტურის როლი, რადგან მისგან გამომდინარეობს საზოგადოებაში არსებული ნორმები და ჩვეულებები. თუმცა, ტრანსფორმაციის ნეოკლასიკური მოდელი მას არ ითვალისწინებს, შოკური თერაპიის მოდელი კი - სახელმწიფოს როლს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. ამის საწინააღმდეგოდ, პოსტკეინზიანელები ხაზს უსვამდნენ მოქმედი პირების, იდეებისა და გატარებული პოლიტიკის მნიშვნელოვნებას ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესში (Fligstein 1996, 1080). ინსტიტუტები ვითარდებიან ადგილობრივი ჩვეულებებისა და სპეციფიკური კულტურული გარემოს ფარგლებში.

1.3 ინსტიტუციური განვითარების პლურალისტურ-საბაზრო და ჩინური მოდელები

ინსტიტუციური განვითარების პლურალისტურ-საბაზრო სოციალისტური მოდელი წარმოადგენს კერძო და საჯარო საკუთრების, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის, ბაზრებისა და გეგმური ეკონომიკის, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი საქონელის ოპტიმალურ კომბინაციას.

სოციალიზმი, თავის მხრივ ვერ გადაჭრის ეკონომიკურ პრობლემებს, აღნიშნული მოდელი მათ გადასაწყვეტად ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან გააზრებულ ჩარევას და არა „უხილავ ხელს“, წარმოებასთან დაკავშირებული ფართო სოციალური საკუთრების არსებობას, პირადი საკუთრების შემცირებისთან ერთად.

საბაზრო სოციალიზმის პირობებში, ბაზრებთან ერთად არსებობს ისეთი სოციალური, პოლიტიკური თუ იურიდიული ინსტიტუტები, რომლებიც მის თავისუფლად ფუნქციონირებას ზღუდავს.

ინსტიტუციური განვითარების ჩინური გამოცდილება აჩვენებს თუ რა მნიშვნელოვანია არსებული ისტორიის, რეგიონის, მთავრობისა და კულტურის გათვალისწინება. საბაზრო ინსტიტუტების განვითარება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს პროცესი გარკვეულ დროის პერიოდს მოითხოვს. ჩინეთში გატარებული რეფორმები უფრო მეტად, ექსპერიმენტული ხასიათის იყო, მიმართული არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და არა დასავლური სტილის საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებისაკენ.

ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებაში უმნიშვნელოვანესია კერძო საკუთრების ჩამოყალიბება და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესშიც აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა პრობლემას.

ჩინეთში, ინსტიტუციური ცვლილებების უჩვეულოდ მიმდინარეობა ბევრი პოპულარული შეხედულებისთვის გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან აქ ინსტიტუციური განვითარების პროცესს არ მოჰყოლია გამოშვების მკვეთრად შემცირება. საკუთრების უფლებების თეორიის საწინააღმდეგოდ, ჩინეთის ეკონომიკაში გამჭვირვალე, კანონის ძალით დაცული ინდივიდუალური საკუთრების უფლებების არსებობა გამონაკლისს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ზოგად წესს. თუმცა, გატარებულმა რეფორმებმა სტიმული მისცა ეკონომიკის ზრდას, საკუთრების უფლებების ნათლად ჩამოყალიბლებობის მიუხედავად. გატარებულ რეფორმებს შემდეგ მოჰყვა ე.წ ინსტიტუციური ინოვაციები. საბოლოო ჯამში, მკაფიოდ ჩამოყალიბებული იურიდიული ჩარჩო-პირობების არარსებობამ სტიმული მისცა ფირმებს შორის არაფორმალური

გარიგებების დადებას, კაპიტალის ბაზრების არარსებობამ კი - არაფორმალური საკრედიტო კოოპერატივების ჩამოყალიბებას.

ზემოთ განხილული ტრანსფორმაციის მოდელები განიხილავს ინსტიტუციური განვითარების ალტერნატიულ გზებს. ნეოკლასიკური მოდელები, შოკური თერაპიისა და გრადუალისტური, საბაზრო მექანიზმს ეყრდნობა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების განვითარებისთვის. იმ განსხვავებით, რომ შოკური თერაპიის მიდგომა პრიორიტეტს ანიჭებს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას, პირველ რიგში, რომელსაც შემდეგ მოჰყვება ინსტიტუტების განვითარებაც. ორივე, პოსტ-კეინზიანური და პლურალისტურ-საბაზრო სოციალისტური მოდელი კი რეკომენდაციას უწევს დაუყოვნებლივ საჭირო საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შედეგად. ასევე, ორივე მოდელისთვის ტრანსფორმაციის პროცესი გრადუალისტურია. რაც შეეხება ჩინურ მოდელს, ის უმეტესწილად დამყარებულია არაფორმალური წესების დადგენაზე.

თავი II. ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში (ინდექსების ჭრილში)

2.1 ეკონომიკური თავისუფლება და ინსტიტუციური ტრანსფორმაცია

თანამედროვე ეკონომიკური პროცესების განხილვისას სულ უფრო პოპულარული ხდება ინსტიტუციური მიდგომა და ეს ლოგიკურია, რადგან, მაგალითად, ეკონომიკის ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა, პირველ რიგში, არსებული ინსტიტუტების ნაწილის რღვევას, ნაწილის კი ტრანსფორმაციას და ამავდროულად, თვისობრივად ახალი ინსტიტუტების შექმნას ნიშნავს (პაპავა 2011, 167). ამ მიდგომის ერთ-ერთი გამოწვევაა რომ ინსტიტუტების ხარისხობრივი მახასიათებლები რაოდენობრივი სახით გამოსახოს.

ეკონომიკური ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, რადგან გავლენას ახდენენ ეკონომიკური სტიმულების სტრუქტურაზე, საზოგადოებაში. მაგალითად, საკუთრების უფლებების გარეშე, ინდივიდებს არ ექნებათ სტიმული რომ ინვესტირება განახორციელონ ფიზიკურ თუ ადამიანურ კაპიტალში ან დაწერონ უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიები. ასევე, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ხელს უწყობს რესურსების ეფექტიანად განაწილებას.

საზოგადოება, რომელშიც ეკონომიკური ინსტიტუტები ხელს უწყობს ფაქტორთა აკუმულაციას, ინოვაციებსა და რესურსების ეფექტიანად განაწილებას, აუცილებლად მიაღწევს კეთილდღეობის მაღალ დონეს. ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის თანახმად კი, წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლი თავისუფლების ასპექტით იკვეთება. თუმცა, ისედაც მწირი ეკონომიკური თავისუფლება წინააღმდეგობაში მოდის არამართო წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, არამედ დაგეგმილ მოთხოვნასთან და დაგეგმილ მიწოდებასთანაც (გველესიანი, 2017).

ამ ქვეთავის, ისევე, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების მთავარი სათქმელი, ინსტიტუტების თემაზე, არის ის, რომ ეკონომიკური ინსტიტუტები ენდოგენურია და განისაზღვრება საზოგადოების ან მისი კონკრეტული სეგმენტის მიერ. შესაბამისად, შეკითხვა იმის შესახებ თუ რატომაა ზოგიერთი სახელმწიფო სხვებზე ნაკლებად განვითარებული, მჭიდროდ უკავშირდება შეკითხვას იმის შესახებ თუ რატომ აქვთ მათ სხვებზე „ცუდი“ ეკონომიკური ინსტიტუტები (Robinson et al. 2005, 389).

ნაშრომის შედარებითი ანალიზის ნაწილში განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. მათთვის დამახასიათებელია რიგი სპეციფიკური ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემები, განსაკუთრებით, აღსანიშნავია დროში გაჭიანურებული ტერიტორიული კონფლიქტები. თუმცა, მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა, არსებობს მყარი საფუძველი ოპტიმიზმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები გათავისუფლდებიან კონფლიქტებისგან და იარსებებს დემოკრატიული ქვეყნები, ძლიერი ეკონომიკით.

ქვეყნის ინსტიტუციური გარემოს დასახასიათებლად შესაძლებელია სხვადასხვა ინდექსების გამოყენება.

2.2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიმოხილვა

განვიხილოთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 1996-2019 წლებისთვის. ბოლო 25 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ინდექსი შეიქმნა, მსოფლიო ეკონომიკა გაიზარდა \$39.2 ტრილიონიდან 80-მდე და მილიარდობით ადამიანს უკეთესი პირობები აქვს ცხოვრებისთვის. ქვეყნები, რომლებიც ჩაერთნენ გლობალურ საბაზრო კონკურენციაში, შეზღუდული მთავრობის ზომის, რეგულაციების ეფექტიანობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, მიაღწიეს ეკონომიკურ-სოციალური განვითარების შედარებით მაღალ დონეს. 2019 წლის შედეგები კი აჩვენებს რომ ეკონომიკური თავისუფლების პრინციპები და გაკვეთილები უკვე ათვისებულია, ფართოდ აღიარებულია და დანერგულია ქვეყნების უმრავლესობაში, ამასთან ერთად, გამოიკვეთა უდავო ფაქტები იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლება და კეთილდღეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან (Miller T. et al. 2019,16).

Heritage Foundation-ის 2019 წლის კვლევის მიხედვით¹, საქართველოსთვის ინდექსი 75.9 შეადგენს, სტატუსით - უმეტესად თავისუფალი და რეგიონში პოზიცია ერთი ადგილით გაიუმჯობესა, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით, საბოლოო ქულა 0.3-ით არის შემცირებული. საქართველო მე-8 ადგილს იკავებს ევროპის რეგიონის 44 ქვეყანას შორის, ხოლო მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის - მე-16-ს. აღსანიშნავია, რომ საბოლოო ქულა აღემატება როგორც რეგიონის, ასევე მსოფლიო საშუალოს მაჩვენებელს.

საქართველოს შედარებით ძლიერ მხარეს წარმოადგენს ფისკალური მდგრადობა და ვაჭრობის თავისუფლება, ინდექსის კომპონენტებს შორის, ხოლო, შედარებით დაბალი ქულები აქვს კომპონენტებში - სასამართლოს ეფექტიანობა და მთავრობის სამართლიანობა.

სომხეთისთვის, კვლევის მიხედვით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შეადგენს 67.7-ს და 2019 წლის რეიტინგში 47-ე თავისუფალი ქვეყანაა. მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია 1 ერთეულით. ევროპის რეგიონის 44 ქვეყანას შორის 24-ე ადგილს იკავებს და მცირედით ჩამორჩება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს, ხოლო, მსოფლიოს საშუალო დონეს კი აღემატება.

მიუხედავად მთავრობის მცდელობისა რომ გაეუმჯობესებინა ბიზნეს გარემო, საგადასახადო რეფორმების საშუალებით, შეემცირებინა კორუფცია და გაეზარდა სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა, ქვეყნის გეოგრაფიული იზოლირებულობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა და

¹ Heritage Foundation, 2019 Index of Economic Freedom. https://www.heritage.org/index/pdf/2019/book/index_2019.pdf

მონოპოლიები მნიშვნელოვან ბიზნეს სექტორებში, მნიშვნელოვნად აფერხებს აღნიშნულ პროცესს.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შეადგენს 65.4-ს და 2019 წლის რეიტინგში მე-60 ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 1.1 ერთეულით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის სასამართლოს ეფექტიანობის, საკუთრების უფლებებისა და მთავრობის სამართლიანობის კომპონენტების შესაბამისი ქულების გაუმჯობესებას.

აზერბაიჯანი მიეკუთვნება აზია-წყნარი ოკეანის ზღვის აუზის რეგიონს და მისი მაჩვენებელი აღემატება როგორც რეგიონის, ასევე, მსოფლიოს საშუალო დონეს. მთავრობის გეგმებში შედის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა კანონის უზენაესობის კომპონენტში, გასულ წელთან შედარებით, თუმცა, კორუფცია კვლავ გავრცელებულია, აღნიშნულია Heritage Foundation-ის 2019 წლის კვლევის ანგარიშში (Miller T. et al. 2019,92).


სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მონაცემები ხელმისაწვდომია 1996 წლიდან, ამ დროისთვის საქართველოს მაჩვენებელია 44.1, სომხეთის მაჩვენებელია 42.2, ხოლო აზერბაიჯანის - 30. როგორც დიაგრამიდან ჩანს, 1997-2006 წლებში სომხეთი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მიღებულ შედეგებს და მოწინავე ადგილზეა რეგიონში, ხოლო, 2007 წლიდან დღემდე საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მეზობელ ქვეყნებზე მაღალი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხით ხასიათდება, რაც გამოსახულია დიაგრამა 2.1-ზე.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 12 კომპონენტის მიხედვით, გავანალიზოთ თუ რომელი კომპონენტების სარეიტინგო ქულა გაუმჯობესდა და გაუარესდა ბოლო წლების განმავლობაში.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამები გამოსახავს კანონის უზენაესობის, მთავრობის ზომის, რეგულაციების ეფექტიანობისა და ბაზრების ღიაობის კომპონენტებს, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, 2019 წელს.

მეთოდოლოგიის მიხედვით, ქვეყნები, მიღებული შედეგების შესაბამისად, ჯგუფდებიან 5 ძირითად კატეგორიაში - თავისუფალი (80-100), უმეტესად თავისუფალი (70-79,9), საშუალოდ თავისუფალი (60-69,9), ნაკლებად თავისუფალი (50-59,9) და რეპრესირებული (0-49,9). დიაგრამაზე მათ შეესაბამებათ შემდეგი ფერები : მწვანე, ღია მწვანე, ყვითელი, სტაფილოსფერი და წითელი.


დიაგრამა 2.1. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, 1996-2019 წლები .



წყარო : Heritage Foundation Data, <https://www.heritage.org/index/visualize>

წინა წელთან შედარებით, საკუთრების უფლებების მაჩვენებელი, საქართველოსთვის გაზრდილია 3.1 ერთეულით, ხოლო, სასამართლოს ეფექტიანობისა და მთავრობის სამართლიანობის კომპონენტები შემცირებულია, შესამაბისად, 9.6 და 3.3 ერთეულით. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია და კანონები მიუთითებს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობაზე, პოლიტიკური წნეხი მაინც უარყოფითად მოქმედებს მიუკერძოებლობაზე. ასევე, მართალია, საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, დღესდღეობით, მაინც ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს - აღნიშნულია Heritage Foundation-ის 2019 წლის კვლევაში (Miller T. et al. 2019,201). 2019 წლის შედეგები კი გამოსახულია დიაგრამა 2.2-ზე.

დიაგრამა 2.2 კანონის უზენაესობა, საქართველო, 2019 წელი.




წყარო: <https://www.heritage.org/index>

სომხეთში, კანონი იცავს როგორც პირად, ასევე, უძრავი საკუთრების შესახებ უფლებებს. სასამართლო სისტემას აკლია ეფექტიანობა, დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა. რაც შეეხება კორუფციას, ის ფართოდაა გავრცელებული, არ იდევნება სასამართლოს წესით და მეტად გაუარესდა სომხეთის ეკონომიკასა და რეგიონულ უსაფრთხოებაზე რუსეთის გავლენის შედეგად.

დიაგრამა 2.3 გამოსახავს კანონის უზენაესობის კომპონენტების შედეგებს, სომხეთისთვის.


დიაგრამა 2.3. კანონის უზენაესობა, სომხეთი, 2019 წელი.



წყარო: <https://www.heritage.org/index>

წინა წელთან შედარებით, საკუთრების უფლებების მაჩვენებელი, სომხეთისთვის გაზრდილია 1.9 ერთეულით, ხოლო, სასამართლოს ეფექტიანობისა და მთავრობის სამართლიანობის კომპონენტები შემცირებულია, შესამაბისად, 1.1 და 1.9 ერთეულით.

დიაგრამა 2.4. კანონის უზენაესობა, აზერბაიჯანი, 2019 წელი.




წყარო: <https://www.heritage.org/index>

აზერბაიჯანის შემთხვევაში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კანონის უზენაესობის სამივე კომპონენტის მაჩვენებელი გაზრდილია წინა წელთან შედარებით. საკუთრების უფლებები - 5.5 ერთეულით, სასამართლოს ეფექტიანობა - 16.3 ერთეულით, მთავრობის სამართლიანობა - 4.8 ერთეულით და ნაჩვენებია დიაგრამა 2.4-ზე.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შემდეგი შემადგენელი ნაწილია მთავრობის ზომა, რომლის შემადგენელი კომპონენტებია : საგადასახადო ტვირთი, სახელმწიფო ხარჯები და ფისკალური მდგრადობა. მის მიხედვით შევაფასოთ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა.

საქართველოში, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 20 %, მოგების გადასახადის - 15%, არსებობს სხვა გადასახადებიც, მათ შორის დამატებული ღირებულების. მთლიანობაში, საგადასახადო ტვირთი მთლიანი შემოსავლის 25.8%-ია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ხარჯებმა მთლიანი შიდა პროდუქტის 29.6% შეადგინა, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელმა, საშუალოდ, 1.1%. სახელმწიფო ვალმა კი მთლიანი შიდა პროდუქტის 44.9%.


დიაგრამა 2.5. მთავრობის ზომა, საქართველო, 2019 წელი.



წყარო: <https://www.heritage.org/index>

მთავრობის ზომის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის, გამოსახულია დიაგრამა 2.5-ზე. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებლის შემადგენელი სამივე კომპონენტი, საგადასახადო ტვირთი, სახელმწიფო ხარჯები და ფისკალური მდგრადობა, შესაბამისად, 0.1, 0.3 და 2.1 ერთეულებით.

დიაგრამა 2.6. მთავრობის ზომა, სომხეთი, 2019 წელი.




წყარო: <https://www.heritage.org/index>

სომხეთის შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 26%-ს უტოლდება, ხოლო მოგების გადასახადი 20%-ს. საბოლოოდ, საგადასახადო ტვირთი მთლიანი ადგილობრივი შემოსავლების 21.3%-ია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ხარჯებმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 26.4% შეადგინა, ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელმა, საშუალოდ, 5.1%, ხოლო სახელმწიფო ვალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 53.5%. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, მთავრობის ზომის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის, გამოსახულია დიაგრამა 2.6-ზე.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი, სახელმწიფოს ხარჯების მაჩვენებელი შემცირდა 1 ერთეულით, ხოლო ფისკალური მდგრადობის მაჩვენებელი შემცირდა 14.2 ერთეულით.

აზერბაიჯანში, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 25%-ს, მოგების გადასახადის განაკვეთი კი 20%-ს შეადგენს. ასევე, სხვა გადასახადებს შორისაა დამატებული ღირებულების გადასახადი და გადასახადები საკუთრებაზე. საბოლოოდ, საგადასახადო ტვირთი მთლიანი ადგილობრივი შემოსავლის 14.9%-ია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ხარჯებმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 36.7% შეადგინა, ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელმა, საშუალოდ, 1.7%, ხოლო სახელმწიფო ვალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 54.7%.

დიაგრამა 2.7. მთავრობის ზომა, აზერბაიჯანი, 2019 წელი.



წყარო: <https://www.heritage.org/index>


ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, მთავრობის ზომის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის, გამოსახულია დიაგრამა 2.7-ზე. აღსანიშნავია, რომ წინა

წელთან შედარებით არ შეცვლილა საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი, სახელმწიფოს ხარჯების მაჩვენებელი გაიზარდა 0.1 ერთეულით, ხოლო ფისკალური მდგრადობის მაჩვენებელი შემცირდა 6.1 ერთეულით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შემდეგი შემადგენელი ნაწილია რეგულაციების ეფექტიანობა, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება და მონეტარული თავისუფლება. მის მიხედვით შევაფასოთ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა ბოლო წლების განმავლობაში.

საქართველოს ეკონომიკას ძლიერი ბიძგი მისცა ეკონომიკური აქტივობების ლიბერალიზაციამ. მხოლოდ ორი პროცედურა და ორი სამუშაო დღეა საჭირო ბიზნესის დასაწყებად და ამისთვის კაპიტალის მინიმალური რაოდენობა არ მოითხოვება. შრომის ბაზარს აკლია დინამიზმი. მთავრობა კი მწვანე ენერჯისა და სატრანსპორტო პროექტებზე სუბსიდიებს ზრდის.

დიაგრამა 2.8. რეგულაციების ეფექტიანობა, საქართველო, 2019 წელი.



წყარო: <https://www.heritage.org/index>


ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, რეგულაციების ეფექტიანობის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის, გამოსახულია დიაგრამა 2.8-ზე. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, სამივე მაჩვენებელი შემცირებულია. ბიზნესის თავისუფლება - 1.1 ერთეულით, შრომის თავისუფლება - 0.7-ით და მონეტარული თავისუფლების მაჩვენებელი 3.6-ით.

სომხეთში, რეგულაციური ჩარჩო-პირობები შედარებით ეფექტიანია. ბიზნესის დაწყებისათვის მოთხოვნი კაპიტალის მინიმალური დონის შესახებ გაუქმებულია, ასევე, მოდერნიზებულია გაბანკროტების პროცედურები. არაფორმალური შრომის ბაზრის მოცულობა

მნიშვნელოვანია. ქვეყნის სახელმწიფო ვალი კი ზრდის ტენდენციით ხასიათდება და მთავრობას ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებისკენ უბიძგებს.

აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, ბიზნესის თავისუფლების მაჩვენებელი 0.4 ერთეულითაა შემცირებული, ხოლო, შრომისა და მონეტარული თავისუფლების მაჩვენებლები გაზრდილია, შესაბამისად, 1.5 და 2.0 ერთეულებით. დიაგრამა 2.9 კი გამოსახავს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, რეგულაციური ეფექტიანობის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულებს სომხეთისთვის.

დიაგრამა 2.9. რეგულაციების ეფექტიანობა, სომხეთი, 2019 წელი.




წყარო: <https://www.heritage.org/index>

ინდექსის შემადგენელი მეოთხე ნაწილია ბაზრების ღიაობა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს - ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება. ბოლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით, გავანალიზოთ თუ რამდენად შეიცვალა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული ინსტიტუციური გარემო.

საქართველოში, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, ექსპორტისა და იმპორტის საერთო მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 112.6% შეადგინა. საშუალოდ, საბაჟო ტარიფის განაკვეთია 0.7%. 2018 წლის 30 ივნისის შემდეგ კი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით, საქართველოში ამოქმედდა 66 არასატარიფო ბარიერი. არსებობს რიგი შეზღუდვებისა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობაზე უცხოელების მხრიდან. საბანკო სექტორის ზრდასთან ერთად, ფინანსებზე წვდომაც იზრდება. ასევე, კაპიტალის ბაზრები და საფონდო ბირჟა განაგრძობენ განვითარებას.

დიაგრამა 2.11. ბაზრების ღიაობა, საქართველო, 2019 წელი.




წყარო: <https://www.heritage.org/index>

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის, ბაზრების ღიაობის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის, გამოსახულია დიაგრამა 9-ზე. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის თავისუფლების მაჩვენებელი, გასულ წელთან შედარებით, შემცირებულია 0.8 ერთეულით, ინვესტირების თავისუფლების მაჩვენებელი არ შეცვლილა, ხოლო, ფინანსური თავისუფლების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად, 10 ერთეულით გაიზარდა.

რაც შეეხება სომხეთს, ექსპორტისა და იმპორტის საერთო მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 88.5% შეადგინა. საშუალოდ, საბაჟო ტარიფის განაკვეთია 2.1%. 2018 წლის 30 ივნისის შემდეგ კი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით, საქართველოში ამოქმედდა 9 არასატარიფო ბარიერი. ბიუროკრატიული ბარიერები ხელს უშლის როგორც უცხოურ, ასევე, ადგილობრივ ინვესტირებას. მართალია, საბანკო სექტორს მთლიანი ფინანსური სექტორის 90%-ზე მეტი წილი უკავია, მაგრამ მაინც ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან დაკრედიტებას.

დიაგრამა 2.12-ზე გამოსახულია ბაზრების ღიაობის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის თავისუფლების მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით გაზარდილია 0.8 ერთეულით, ხოლო, ინვესტირებისა და ფინანსური თავისუფლებების მაჩვენებლები არ შეცვლილა.


დიაგრამა 2.12. ბაზრების ღიაობა, სომხეთი, 2019 წელი.



წყარო: <https://www.heritage.org/index>

აზერბაიჯანში, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, ექსპორტისა და იმპორტის საერთო მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 90.7% შეადგინა. საშუალოდ, საბაჟო ტარიფის განაკვეთია 5.2%. არსებული არასატარიფო ბარიერები ხელს უშლის ვაჭრობის განვითარებას, რეგულაციური ბარიერები კი აფერხებს როგორც საგარეო, ასევე, საშინაო ინვესტირებას. საფინანსო სექტორი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას და მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეროვნული ვალუტის სისუსტე. საბანკო სექტორი დომინირებულია მსხვილი ეროვნული ბანკის მიერ.

დიაგრამა 2.13. ბაზრების ღიაობა, აზერბაიჯანი, 2019 წელი.



წყარო: <https://www.heritage.org/index>

დიაგრამა 2.13-ზე გამოსახულია ბაზრების ღიაობის შემადგენელი კომპონენტების საბოლოო ქულები, 2019 წლისთვის აზერბაიჯანში. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობისა და ფინანსური თავისუფლების მაჩვენებლები, წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა, ხოლო ინვესტირების თავისუფლების მაჩვენებელი 5 ერთეულითაა გაზრდილი.

2.3 ბედნიერების ინდექსის მიმოხილვა

ბედნიერების ინდექსი შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი გადაწყვეტილებების ქსელის მიერ (Sustainable Development Solutions Network, SDSN). ბედნიერების ინდექსის მაჩვენებელი მერყეობს 0-დან 10-ის ფარგლებში და მოიცავს 156 ქვეყანას. მისი საბოლოო ქულის მისაღებად გაითვალისწინება შემდეგი 6 მაჩვენებელი :

- მშპ მოსახლეობის ერთ სულზე;
- ჯანმრთელად ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობის დონე;
- სოციალური მხარდაჭერა, შემდეგი კითხვის პასუხიდან გამომდინარე - გასაჭირში ყოფნისას, გაქვთ თუ არა ნათესავების ან მეგობრების დახმარების იმედი.
- ცხოვრებისეული არჩევანის თავისუფლება, შემდეგი კითხვის პასუხიდან გამომდინარე - კმაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი არჩევანის თავისუფლების ხარისხით ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისას.
- გულუხვობა, შემდეგი კითხვის პასუხიდან გამომდინარე - გაეცით თუ არა ფული ქველმოქმედებისთვის გასული თვის განმავლობაში.
- კორუფციის დონის შეფასება, შემდეგი კითხვის პასუხიდან გამომდინარე - ფართოდ გავრცელებულია თუ არა სახელმწიფოში კორუფცია.

ამასთან, გაითვალისწინება პირადი ემოციური გამოცდილებაც, რომელიც პასუხია კითხვაზე თუ წინა დღის განმავლობაში რამდენად ბედნიერად, ხალისიანად, სევდიანად თუ გაბრაზებულად გრძობდნენ თავს რესპოდენტები.

2019 წლის მონაცემების მიხედვით, კვლავ სკანდინავიის ქვეყნები ლიდერობენ რეიტინგში. პირველ ადგილს იკავებს ფინეთი (7.769), შემდეგ დანია (7.600) და ნორვეგია (7.554 ქულით) (Helliwell J.F. et al. 2019, 29).


რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, 2019 წლის ანგარიშის მიხედვით², საქართველო რეიტინგში 119-ე ადგილს იკავებს, 4.519 ქულით, სომხეთი 116-ე ადგილს, 4.559 ქულით, ხოლო აზერბაიჯანი 90-ე ადგილს, 5.208 ქულით.

დიაგრამების საშუალებით გამოვსახოთ ბედნიერების ინდექსის დინამიკა 2006-2018 წლების განმავლობაში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის.

დიაგრამა 2.14 გამოსახავს ბედნიერების ინდექსის დინამიკას საქართველოსთვის, რომელიც აღმავალი ტრენდით ხასიათდება. რეიტინგში მდგომარეობას იუმჯობესებს საქართველო, 2019 წლის ანგარიშის მიხედვით 128-ე ადგილიდან 119-ზე გადაინაცვლა .

² World Happiness Report 2019, <https://worldhappiness.report/ed/2019/#read>


დიაგრამა 2.14. ბედნიერების ინდექსი, საქართველო, 2006-2018 წლები.



წყარო: World Happiness Report 2019, <https://worldhappiness.report/ed/2019/>


რეიტინგში მდგომარეობას იუმჯობესებს სომხეთიც, 2019 წლის ანგარიშის მიხედვით 129-ე ადგილიდან 116-ზე გადაინაცვლა .

დიაგრამა 2.15. ბედნიერების ინდექსი, სომხეთი, 2006-2018 წლები.



წყარო: World Happiness Report 2019, <https://worldhappiness.report/ed/2019/>

დიაგრამა 2.16. ბედნიერების ინდექსი, აზერბაიჯანი, 2006-2018 წლები.



წყარო: World Happiness Report 2019, <https://worldhappiness.report/ed/2019/>

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ბედნიერების ინდექსის მაჩვენებლით ლიდერობს აზერბაიჯანი, თუმცა გასულ წელთან შედარებით 3 ადგილით უკან გადაინაცვლა და 2019 წლის ანგარიშის მიხედვით 90-ე ადგილს იკავებს.

თავი III. ინსტიტუციური ცვლილებების გაანგარიშების მეთოდოლოგიური ასპექტები და მიღებული შედეგების ანალიზი

3.1 კვლევის მეთოდოლოგიის მიმოხილვა

ქმნის თუ არა ინსტიტუტები შესაფერის გარემოს ეკონომიკური ზრდისათვის კომპლექსური საკითხია, რომელიც მოითხოვს მოცემული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ინსტიტუციური გარემოს თვისებების რაოდენობრივად გამოსახვას.

ნაშრომში ინსტიტუციური გარემოს შესაფასებლად გამოყენებულია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც შემუშავებულია Heritage Foundation-ის მიერ, 1995 წლიდან.

ბოლო 25 წლის განმავლობაში, ინფორმაციული ბაზის მოცულობის ზრდასთან ერთად, მეთოდოლოგია მეტად დაიხვეწა და გაუმჯობესდა, ასევე, გაფართოვდა ინდექსის გამოყენების სფეროებიც. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კანონის უზენაესობასთან, სახელმწიფოს ზომასთან, რეგულაციების ეფექტიანობასა და ბაზრების ღიაობასთან. ცოდნისა და გამოცდილების ზრდის პარალელურად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მეთოდოლოგიაც განაგრძობს ცვლილებებს იმისათვის, რომ უკეთესად შეაფასოს და მრავლისმომცველი ხედვა შემოგვთავაზოს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკონომიკური თავისუფლება კრიტიკული ელემენტია ადამიანთა კეთილდღეობასა და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში. კეთილდღეობისაკენ მიმავალი საუკეთესო გზა კი თავისუფლებაზე გადის, რომელიც ინდივიდებს არჩევანის საშუალებას აძლევს რომ თვითონ გადაწყვიტონ თუ როგორ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს და დაიკმაყოფილონ სურვილები.

ამჟამად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ბოლო გამოცემა ანალიზებს ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ტენდენციებს 186 ქვეყანაში. ქვეყნები დაჯგუფებულია ეკონომიკური თავისუფლების საზომი თორმეტი ინდიკატორის მიხედვით, რომლებიც შემდგომ ოთხ ჯგუფში ერთიანდებიან.

დღესდღეობით, ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტზე დაყრდნობით გატარებული პოლიტიკა კი ქმნის ისეთ სამეწარმეო გარემოს, რომელიც აუცილებელია იმ ეკონომიკური თუ სოციალური გამოწვევების დასაკმაყოფილებლად, რის წინაშეც არაერთი ქვეყანა დგას.

ეკონომიკური თავისუფლება კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ცნებაა, რომლის რაოდენობრივად გამოსახვაც საკმაოდ რთულია. ინდექსი კონცენტრირდება ეკონომიკური და

სამეწარმეო გარემოს იმ ოთხ ძირითად ასპექტზე, რომელზეც მთავრობები ტიპიურად ავრცელებენ საკუთარ პოლიტიკას. მასში შემავალი ეკონომიკური თავისუფლების 12 ასპექტი დაჯგუფებულია შემდეგ ოთხ უფრო ფართო კატეგორიაში, ესენია :

- კანონის უზენაესობა,
- მთავრობის ზომა,
- რეგულაციური ეფექტიანობა,
- ბაზრის ღიაობა .

ეკონომიკური თავისუფლების თითოეული ასპექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პირადი თუ ეროვნული კეთილდღეობის შენარჩუნებაში, თითოეული მათგანი ბუნებით ერთმანეთის შემავსებელს წარმოადგენს, შესაბამისად, პროგრესი ერთ კატეგორიაში ასტიმულირებს პროგრესს სხვა კატეგორიებში. მსგავსად ამისა, რომელიმე კატეგორიაში რეპრესირებული ეკონომიკური თავისუფლება ართულებს თავისუფლების მაღალი დონის მიღწევას სხვა კატეგორიებში.

ზემოთ აღნიშნულ ოთხ კატეგორიაში მდგომარეობის შესაფასებლად, ინდექსი ზომავს ეკონომიკური თავისუფლების თორმეტ სპეციფიკურ კომპონენტს, მათგან თითოეულის მნიშვნელობა მერყეობს ნულიდან ასამდე. ეკონომიკური თავისუფლების ამ თორმეტი კომპონენტის ქულები გამოითვლება არაერთ სუბ-ცვლადზე დაყრდნობის შედეგად, შემდეგ ისინი თანაბრად შეიწონება და საშუალო აიღება იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს ეკონომიკური თავისუფლების ზოგადი ინდექსი თითოეული ქვეყნისათვის.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით, კვლევა ქვეყნებს აჯგუფებს ხუთ ძირითად კატეგორიაში, ესენია :

- თავისუფალი (80-100);
- უმეტესად თავისუფალი (70-79,9);
- საშუალოდ თავისუფალი (60-69,9);
- ნაკლებად თავისუფალი (50-59,9);
- რეპრესირებული (0-49,9).

შემდეგ სექციებში დეტალურად აღიწერება მეთოდოლოგია და ის ფორმულები, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების 12 კომპონენტის შესაფასებლად.

კანონის უზენაესობა

საკუთრების უფლებები

საკუთრების უფლებების კომპონენტი აფასებს ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო პირობების ფარგლებში ინდივიდების მიერ კერძო საკუთრების შეძენის, ფლობისა და გამოყენების ხარისხს, დაცულს კანონით, რომელსაც მთავრობა აღასრულებს ეფექტიანად. კვლევის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, რაოდენობრივად გამოისახება ის, თუ რამდენად შეუძლია ქვეყნის კანონმდებლობას კერძო საკუთრების უფლებების დაცვა, ასევე, მისი ჩამორთმევა. რაც უფრო მეტადაა დაცული საკუთრება, მით მაღალია ქვეყნის ქულათა რაოდენობა ამ კომპონენტში, მსგავსად ამისა, რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების ჩამორთმევის შანსი, მით ნაკლებია ეს მაჩვენებელი. საბოლოო ქულათა რაოდენობა მიიღება შემდეგი ხუთი სუბ-ფაქტორის გასაშუალოებით, რომლებიც თანაბრადაა შეწონილი, ესენია :

- ფიზიკურ საკუთრებათა უფლებები,
- ინტელექტუალურ საკუთრებათა უფლებები,
- ინვესტორთა დაცულობის ხარისხი,
- ექსპროპრიაციის რისკი,
- მიწის ადმინისტრირების ხარისხი.

თითოეული სუბ-ფაქტორი კი მიიღება შემდეგი ტოლობის გამოთვლის შედეგად :

$$\text{Sub-factor Score } i = 100 \times (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factor}_i) / (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factorMin})$$

სადაც,

Sub-factor $_i$ წარმოადგენს თავდაპირველ სტატისტიკურ მონაცემს i -ური ქვეყნისთვის;

Sub-factorMax და Sub-factorMin -შესაბამისი ფაქტორის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობებია;

Sub-factor Score i - i -ური ქვეყნისთვის გამოთვლილი სუბ-ფაქტორის საბოლოო ქულაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქვეყნისთვის ყველა სუბ-ფაქტორზე არ არსებობს მონაცემები, ამ შემთხვევაში ის გამოითვლება ამავე ქვეყნის სხვა, ოღონდ იმავე რიგის პერცენტის სუბ-ფაქტორზე დაყრდნობით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საკუთრების უფლებების შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, *მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიში*; მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთება.

სასამართლოს ეფექტიანობა

გამართულად ფუნქციონირებადი, კანონზე დაფუძნებული გარემო უმნიშვნელოვანესია მოქალაქეთა უფლებების დაცვაში სხვათა არაკანონიერი ქმედებისას, იქნება ის სახელმწიფო თუ ძლევამოსილი კერძო მხარე. სასამართლოს ეფექტიანობის ქვეშ იგულისხმება ქმედითი და სამართლიანი იურიდიული გარემოს არსებობა იმისათვის, რომ სამართალდარღვევისას შესაბამისი კანონიერი ქმედებების აღსრულება იყოს შესაძლებელი. საბოლოო ქულათა რაოდენობა მიიღება შემდეგი სამი სუბ-ფაქტორის გასაშუალოებით, რომლებიც თანაბრადაა შეწონილი, ესენია :

- იურიდიული დამოუკიდებლობა,
- სასამართლო პროცედურის მიმდინარეობის დონე,
- ფავორიტიზმი სახელმწიფო მოხელეების გადაწყვეტილებებში.

თითოეული სუბ-ფაქტორი კი მიიღება შემდეგი ტოლობის გამოთვლის შედეგად :

$$\text{Sub-factor Score } i = 100 \times (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factor } i) / (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factorMin})$$

სადაც,

Sub-factor i წარმოადგენს თავდაპირველ სტატისტიკურ მონაცემს i -ური ქვეყნისთვის;

Sub-factorMax და Sub-factorMin - შესაბამისი ფაქტორის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობებია;

Sub-factor Score i - i -ური ქვეყნისთვის გამოთვლილი სუბ-ფაქტორის საბოლოო ქულაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქვეყნისთვის ყველა სუბ-ფაქტორზე არ არსებობს მონაცემები, ამ შემთხვევაში ის გამოითვლება ამავე ქვეყნის სხვა, ოღონდ იმავე რიგის პერცენტის სუბ-ფაქტორზე დაყრდნობით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი სასამართლოს ეფექტიანობის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმი, *მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიში*; და მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთება.

მთავრობის სამართლიანობა

კორუფცია ანგრევს ეკონომიკურ თავისუფლებას არასაიმედოობისა და დაუცველობის განცდის შეტანით ეკონომიკურ ურთიერთობებში. ყველაზე მეტად ინტერესს იწვევს სისტემური

კორუფცია სახელმწიფო ინსტიტუტებში და ქრთამის, გამოძალვის, ნეპოტიზმის, კრონიზმის, პატრონაჟისა და ქონების მიტაცების პრაქტიკები გადაწყვეტილების მიმღებ პირებში. მთავრობის სამართლიანობის ნაკლებობა, გამოწვეული ამ მიზეზებით კი ამცირებს საზოგადოების მხრიდან სანდოობასა და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას ეკონომიკური აქტივობებისათვის ხარჯების გაზრდის გამო.

საბოლოო ქულათა რაოდენობა მიიღება შემდეგი ექვსი სუბ-ფაქტორის გასაშუალოებით, რომლებიც თანაბრადაა შეწონილი, ესენია :

- პოლიტიკოსებისადმი საზოგადოების ნდობა,
- არარეგულარული გადასახადები და ქრთამის აღების შემთხვევები,
- სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა,
- კორუფციის არარსებობა,
- კორუფციის სახეები,
- სამთავრობო და სამოქალაქო სამსახურების გამჭვირვალობა.

თითოეული სუბ-ფაქტორი კი მიიღება შემდეგი ტოლობის გამოთვლის შედეგად :

$$\text{Sub-factor Score } i = 100 \times (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factor}_i) / (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factorMin})$$

სადაც,

Sub-factor $_i$ წარმოადგენს თავდაპირველ სტატისტიკურ მონაცემს i -ური ქვეყნისთვის;

Sub-factorMax და Sub-factorMin -შესაბამისი ფაქტორის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობებია;

Sub-factor Score i - i -ური ქვეყნისთვის გამოთვლილი სუბ-ფაქტორის საბოლოო ქულაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ქვეყნისთვის ყველა სუბ-ფაქტორზე არ არსებობს მონაცემები, ამ შემთხვევაში ის გამოითვლება ამავე ქვეყნის სხვა, ოღონდ იმავე რიგის პერცენტის სუბ-ფაქტორზე დაყრდნობით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მთავრობის სამართლიანობის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმი, *მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიში* და სხვა.

სახელმწიფოს ზომა

საგადასახადო ტვირთი

საგადასახადო ტვირთი შედგენილი საზომია, რომელიც მოიცავს ზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს როგორც პირად, ასევე, კორპორაციულ შემოსავლებზე და გადასახადების მთლიან დონეს (მათ შორის, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს, რომელიც იბეგრება სახელმწიფოს მართვის ყველა დონის მიერ), როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული ნაწილი.

საბოლოოდ, კომპონენტის ქულათა რაოდენობა მიიღება შემდეგი სამი რაოდენობრივი სუბ-ფაქტორის გათვალისწინებით, ესენია :

- ინდივიდუალურ შემოსავალზე ზღვრული საგადასახადო განაკვეთი,
- კორპორაციულ შემოსავალზე ზღვრული საგადასახადო განაკვეთი,
- მთლიანი საგადასახადო ტვირთი, როგორც მშპ-ს პროცენტული წილი.

თითოეული ეს რაოდენობრივი ცვლადი შეწონილია თანაბრად და წარმოადგენს მთლიანი კომპონენტის მესამედ ნაწილს. ამ თანაბრად შეწონვის საშუალებით, ქვეყანას შეუძლია მიიღოს 67 ქულა მაშინაც კი, თუ მესამე ფაქტორში 0 ქულას მიიღებს. საგადასახადო ტვირთის საბოლოო ქულის გამოსათვლელად გამოიყენება კვადრატული ფუნქცია იმისათვის, რომ გამოსახოს შემოსავლების კლებადობა ძალიან მაღალი გადასახადების პირობებში. თითოეული სუბ-ფაქტორისთვის მონაცემები კონვერტირდება 100 ქულიან შკალაზე, შემდეგი ფორმულის გამოყენების შედეგად :

$$\text{Tax Burden}_{ij} = 100 - \alpha (\text{Factor}_{ij})^2$$

სადაც,

Tax Burden_{ij} - i ქვეყნის საგადასახადო ტვირთია j ფაქტორისთვის,

Factor_{ij} - i ქვეყნის j ფაქტორის მნიშვნელობაა, გამოსახული პროცენტებში,

α - კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობად მიღებულია 0,03.

საგადასახადო ტვირთის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეყრდნობა შემდეგ წყაროებს : დელოიტი,საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ქვეყნის საინვესტიციო სააგენტოები და სხვა.

სახელმწიფო ხარჯები

აღნიშნული კომპონენტი გამოსახავს სახელმწიფოს ხარჯებიდან დაწოლილ ტვირთს რომელიც მოიცავს სახელმწიფო მოხმარებასა და ტრანსფერებს. ჯერჯერობით, არ არის დადგენილი თუ რამდენი უნდა იყოს სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური დონე. ცხადია, ამ მაჩვენებლის იდეალური დონე განსხვავებული იქნება თითოეული ქვეყნისთვის, დამოკიდებულია რა რიგ ფაქტორებზე, რომლებიც მერყეობს კულტურა თუ გეოგრაფიიდან ეკონომიკის განვითარების დონემდე. საჯარო სექტორის ზომისა და საქმიანობის სფეროს ზრდა იწვევს რა რესურსების არარაციონალურად გამოყენებასა და ეკონომიკის ეფექტიანობის კარგვას, შესაბამისად, გარდაუვალია მისი ტვირთად დაწოლა. კვლევები კი აჩვენებს, რომ სახელმწიფო ხარჯების გადამეტებული რაოდენობა, რომელიც იწვევს ბიუჯეტის დეფიციტსა და სახელმწიფო ვალის დაგროვებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვანად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური დინამიზმისთვის.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მეთოდოლოგია საწყის ნიშნულად ითვალისწინებს სახელმწიფო ხარჯების დონეს, რომელიც ნულის ტოლია. ამ მიზეზის გამო, ეკონომიკური თავალსაზრისით განუვითარებელმა ქვეყნებმა, რომელთა სახელმწიფო აპარატის მოცულობა მცირეა, შეიძლება მიიღონ ხელოვნურად მაღალი ქულები ამ კომპონენტში. თუმცა, მსგავსი ქვეყნები, უზრუნველყოფენ რა საზოგადოებრივი საქონელის მცირე მოცულობას, ღებულობენ შედარებით დაბალ ქულებს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის იმ კომპონენტებში (საკუთრების უფლებები, ფინანსური თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება), რომლებიც ზომავს სახელმწიფოს ეფექტიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ხარჯები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ეკონომიკურ თავისუფლებაზე ახდენს გავლენას. ამ კომპონენტის გამოთვლის შკალა არაწრფივია, რაც ნიშნავს რომ თუ სახელმწიფო ხარჯების ნულთან სიახლოვით საბოლოო ქულა უმნიშვნელოდ იცვლება, მშპ-ს 30%-ზე მეტობის შემთხვევაში, კვადრატული ფუნქციისას, ხარჯების გაორმაგება თავისუფლების ხარისხის ოთხჯერ შემცირებას გულისხმობს, ხოლო მისი უჩვეულოდ მაღალი დონის არსებობისას(მაგ, მშპ-ს 58%-ზე მეტი) საბოლოო ქულა ნულთან ახლოს იქნება.

ფორმულა, რომლითაც ქვეყნის სახელმწიფო ხარჯები გამოითვლება, შემდეგნაირად ჩაიწერება :

$$GE_i = 100 - \alpha (Expenditures_i)^2$$

სადაც,

GE_i – i ქვეყნის სახელმწიფო ხარჯებია,

Expenditures: - სახელმწიფო ხარჯების საშუალო მაჩვენებელია ბოლო სამი წლის განმავლობაში და გამოსახულია, როგორც მშპ-ს პროცენტული ნაწილი,
α - კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობად მიღებულია 0,03.

იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კოეფიციენტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს ან არასაიმედოა, ეს ეხება განვითარებად ქვეყნებს, სტატისტიკური მონაცემები გადაიხედება და პერიოდულად სწორდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზების შესაბამისად.

სახელმწიფო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეყრდნობა შემდეგ წყაროებს: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემთა ბაზები; ევროსტატის მონაცემთა ბაზები; აფრიკის განვითარების ბანკი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; აზიის განვითარების ბანკი; აფრიკის განვითარების ბანკი, თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები და სხვა.

ფისკალური მდგრადობა

ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე უარყოფითად აისახება დეფიციტისა და ვალის ტვირთის ზრდა, რაც, უმთავრესად, გამოწვეულია სახელმწიფოს ბიუჯეტის მენეჯმენტის სისუსტით. ფისკალური მდგრადობის გაუარესება, ასევე, ასოცირდება მაკროეკონომიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ განუსაზღვრელობასთან.

სახელმწიფო ვალი სხვა არაფერია, თუ არა დროთა განმავლობაში დაგროვილი ბიუჯეტის დეფიციტი. თეორიაში, ვალის დაფინანსებამ სახელმწიფო ხარჯებით უნდა წახალისოს ინვესტიციების და საბოლოო ჯამში, ეკონომიკის ზრდა. თუმცა, სახელმწიფო ვალის დონე, რომელიც დამოკიდებულია ბიუჯეტის დეფიციტზე, განსაკუთრებულად, დანახარჯებზე (რაც ასტიმულირებს სახელმწიფო მოხმარებას) ან ტრანსფერებზე, არც თუ იშვიათად, ძირს უთხრის პროდუქტიულობის მატებას და იწვევს ეკონომიკის სტაგნაციას და არა ზრდას.

ფისკალური მდგრადობის კომპონენტი ეყრდნობა ორ სუბ-ფაქტორს იმისათვის, რომ გამოითვალოს საბოლოო ქულა და მეთოდოლოგიის მიხედვით, შეწონილია შემდეგნაირად:

- საშუალო დეფიციტი ბოლო სამი წლის განმავლობაში, როგორც მშპ-ს პროცენტული წილი (ქულის 80%),
- ვალი, მშპ-ს პროცენტული წილი (ქულის 20%).

ფორმულა, რომლითაც ქვეყნის ფისკალური მდგრადობა გამოითვლება ჩაიწერება შემდეგნაირად :

$$\text{Sub-factor Score}_i = 100 - \alpha (\text{Sub-factor}_i)^2$$

სადაც,

Sub-factor Score_i - i ქვეყნის დეფიციტს ან ვალს გამოსახავს,

Sub-factor_i - ფაქტორის მნიშვნელობაა, გამოსახული როგორც მშპ-ს წილი,

α - კოეფიციენტია, რომ აკონტროლოს ქულათა ვარიაცია და მიჩნეულია 2-ის ტოლად დეფიციტის და 0,01-ის ტოლად ვალის შემთხვევაში.

სუბ-ფაქტორს შეუძლია მინიმუმ მიიღოს მნიშვნელობა, რომელიც ნულის ტოლია.

იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კოეფიციენტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს ან არასაიმედოა, ეს ეხება განვითარებად ქვეყნებს, სტატისტიკური მონაცემები გადაიხედება და პერიოდულად სწორდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზების შესაბამისად.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ფისკალური მდგრადობის კომპონენტის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : საერთაშორისო სავალუტო ფონდი; აზიის განვითარების ბანკი; აფრიკის განვითარების ბანკი; თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები.

რეგულაციური ეფექტიანობა

ბიზნესის თავისუფლება

ბიზნესის თავისუფლების კომპონენტი აფასებს იმ საზღვრებს, რომელშიც რეგულაციური და ინფრასტრუქტურული გარემო აკონტროლებს ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას. საბოლოო ქულაა მიიღება იმ ფაქტორების გათვალისწინების შედეგად, რომლებიც ზემოქმედებს ბიზნესის დაწყების სიმარტივეზე, მის ფუნქციონირებასა და დახურვაზე. ამ კომპონენტში მიღებული ქულა თითოეული ქვეყნისთვის მერყეობს ნულიდან ასის ფარგლებში, რაც უფრო მაღალია მიღებული შედეგი, მით უფრო თავისუფალია ბიზნესის საკეთებლად გარემო.

საბოლოო ქულა მიიღება 13 სუბ-ფაქტორის გათვალისწინების შედეგად, რომლებიც შეწონილია თანაბრად და გამოიყენება მსოფლიო ბანკის მონაცემები „ბიზნესის კეთება“ ანგარიშიდან. ეს სუბ-ფაქტორებია:

- ბიზნესის დაწყება - პროცედურები(რიცხვი);

- ბიზნესის დაწყება - დრო(დღეები);
- ბიზნესის დაწყება - ხარჯი(ერთ სულზე შემოსავლიდან პროცენტული წილი);
- ბიზნესის დაწყება - მინიმუმი კაპიტალი(სულზე შემოსავლიდან პროცენტული წილი);
- ლიცენზიის მიღება - პროცედურები(რიცხვი);
- ლიცენზიის მიღება - დრო(დღეები);
- ლიცენზიის მიღება - ხარჯი(ერთ სულზე შემოსავლიდან პროცენტული წილი);
- ბიზნესის დახურვა - დრო(წლები);
- ბიზნესის დახურვა - ხარჯი(ქონებიდან პროცენტული წილი);
- ბიზნესის დახურვა - აღდგენის განაკვეთი(ცენტი დოლარზე);
- ელექტროენერჯის მიღება - პროცედურები(რიცხვი);
- ელექტროენერჯის მიღება - დრო(დღეები);
- ელექტროენერჯის მიღება - ხარჯი(ერთ სულზე შემოსავლიდან პროცენტული წილი);

თითოეული სუბ-ფაქტორი გარდაიქმნება ისე, რომ მიიღოს მნიშვნელობა ნულიდან ასამდე, ამის შემდეგ მათი საშუალო გამოითვლება. შედეგი წარმოადგენს თითოეული ქვეყნის ბიზნესის თავისუფლების დონეს.

ფორმულა, რომლითაც თითოეული ფაქტორი გარდაიქმნება შემდეგნაირად ჩაიწერება :

$$\text{Sub-factor Score}_i = 50 \times (\text{Sub-factor}_{\text{average}} / \text{Sub-factor}_i)$$

სადაც, i -ური ქვეყნისთვის, თითოეული სუბ-ფაქტორის მაჩვენებელი გამოითვლება მსოფლიო საშუალოსთან მიმართებაში და მრავლდება 50-ზე.

იმ ხუთი ქვეყნისთვის, რომელსაც მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთება“ ანგარიში არ მოიცავს, აღნიშნული კომპონენტის ქულა მიიღება იმ ბიზნეს რეგულაციების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, რომელიც სანდოა და საერთაშორისოდ აღიარებულია.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ფისკალური სიჯანსაღის კომპონენტის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ბანკი, *ბიზნესის კეთება*; თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები და სხვა.

შრომის თავისუფლება

შრომის თავისუფლების კომპონენტი რაოდენობრივად აფასებს ქვეყნის შრომის ბაზრის იურიდიულ და რეგულაციურ ასპექტებს, მათ შორის რეგულაციებს, რომლებიც შეეხება მინიმალურ ხელფასს, კანონებს, რომლებიც ეხება დროებით გათავისუფლებებს, გაზომვად რეგულაციურ შეზღუდვებს დაქირავებულებისა და ნამუშევარი საათების შესახებ და სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონეს, როგორც ქვეყნის შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობების მაჩვენებელს.

შვიდი რაოდენობრივი ხასიათის სუბ-ფაქტორი თანაბრად შეიწონება და გაითვალისწინებიან აღნიშნული კომპონენტის მეშვიდედ ნაწილებად. ეს სუბ-ფაქტორებია :

- მინიმალური ხელფასის განაკვეთი, ერთი მომუშავის მიერ დამატებულ საშუალო ღირებულებასთან მიმართებაში;
- სირთულეები, დაკავშირებული დამატებითი მომუშავის დაქირავებაზე;
- სამუშაო საათების სიხისტე;
- სირთულეები, დაკავშირებული ზედმეტი თანამშრომლის დათხოვნაზე;
- კანონიერად დადგენილი შეტყობინების ვადა, სამუშაოს დასრულებამდე;
- სავალდებულო კომპენსაცია, კონტრაქტის გაწყვეტისას;
- სამუშაო ძალაში მონაწილეობის დონე,

თითოეული სუბ-ფაქტორი გარდაიქმნება ისე, რომ მიიღოს მნიშვნელობა ნულიდან ასამდე. ფორმულა, რომლითაც თითოეული ფაქტორი გარდაიქმნება შემდეგნაირად ჩაიწერება :

$$\text{Sub-factor Score}_i = 50 \times (\text{Sub-factor}_{\text{average}} / \text{Sub-factor}_i)$$

სადაც, i -ური ქვეყნისთვის, თითოეული სუბ-ფაქტორის მაჩვენებელი გამოითვლება მსოფლიო საშუალოსთან მიმართებაში და მრავლდება 50-ზე.

იმ ხუთი ქვეყნისთვის, რომელსაც მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთება“ ანგარიში არ მოიცავს, აღნიშნული კომპონენტის ქულა მიიღება იმ ბიზნეს რეგულაციების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, რომელიც სანდოა და საერთაშორისოდ აღიარებულია.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შრომის თავისუფლების კომპონენტის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ბანკი, *ბიზნესის კეთება*; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზები; მსოფლიო ბანკი, მსოფლიო განვითარების ინდიკატორები;

თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები და სხვა.

მონეტარული თავისუფლება

მონეტარული თავისუფლების კომპონენტი აერთიანებს და განსაზღვრავს ფასების სტაბილურობასა და საფასო პოლიტიკის კონტროლს. ინფლაცია, ისევე, როგორც ფასების კონტროლი ამახინჯებს ბაზრის ფუნქციონირებას. თავისუფალი ბაზრისთვის იდეალურ მდგომარეობას წარმოადგენს ფასების სტაბილურობის არსებობა მიკროეკონომიკური ჩარევის გარეშე.

საბოლოო ქულა მიიღება ორი სუბ-ფაქტორის გათვალისწინების შედეგად, ესენია :

- ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში;
- საფასო პოლიტიკის კონტროლი.

ორი განტოლება, რომელიც მათ გამოსათვლელად გამოიყენება, მეთოდოლოგიის მიხედვით, შემდეგნაირად ჩაიწერება :

$$\text{Weighted Avg. Inflation}_i = \theta_1 \text{ Inflation}_{it} + \theta_2 \text{ Inflation}_{it-1} + \theta_3 \text{ Inflation}_{it-2}$$

$$\text{Monetary Freedom}_i = 100 - \alpha \sqrt{\text{Weighted Avg. Inflation}_i} - \text{PC penalty}_i$$

სადაც,

θ_1 - θ_3 კოეფიციენტების მნიშვნელობა ჯამურად ერთის ტოლია ($\theta_1 = 0.665$; $\theta_2 = 0.245$; $\theta_3 = 0.090$);

Inflation_{it} - i -ური ქვეყნისთვის წლიური ინფლაციის აბსოლუტური მაჩვენებელი t წლისთვის, გაზომილი სამომხმარებლო ფასების მიხედვით.

α - კოეფიციენტი, რომელიც აკონტროლებს ქულათა ვარიაციას და 6.333-ის ტოლია, 10%-იანი ინფლაციის პირობებში მონეტარული თავისუფლების კომპონენტის ქულა თუ 80.0 იქნება, 2%-იანი ინფლაციის პირობებში ის 91.0-ს შეადგენს.

price control (PC) penalty - დადგენილი მნიშვნელობაა 1-20-ის ფარგლებში, საფასო კონტროლის მოცულობის შესაბამისად.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აღნიშნული კომპონენტის შეფასებისას შემდეგ წყაროებს

ეყრდნობა : საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკის ანგარიშები რიგი ქვეყნების შესახებ, ასევე სტატიები და თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები და სხვა.

ბაზრის ღიაობა

ვაჭრობის თავისუფლება

ვაჭრობის თავისუფლების კომპონენტი შედგენილი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს რაც გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტზე.

აღნიშნული კომპონენტი ორი სუბ-ფაქტორისგან შედგება, ესენია :

- ვაჭრობასთან შეწონილი საშუალო სატარიფო განაკვეთი ;
- არასატარიფო ბარიერები.

სხვადასხვა საქონელი, რომელიც ქვეყანაში იმპორტით შემოდის სხვადასხვა სატარიფო განაკვეთის ქვეშ ექცევა, ამიტომ, შეწონილი საშუალო სატარიფო განაკვეთი თითოეული ტარიფისთვის შესაბამის წონებს იყენებს იმისდა მიხედვით, თუ რამხელაა თითოეულ საქონელში იმპორტის წილი. ის რაოდენობრივი ხასიათის სიდიდეა და შემდეგი ფორმულის საშუალებით გამოითვლება :

$$\text{Trade Freedom}_i = 100(\text{Tariff}_{\max} - \text{Tariff}_i) / (\text{Tariff}_{\max} - \text{Tariff}_{\min}) - \text{NTB}_i$$

სადაც,

Trade Freedom_i - i-ური ქვეყნისთვის ვაჭრობის თავისუფლების მაჩვენებელია;

Tariff_{\max} და Tariff_{\min} - სატარიფო განაკვეთის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობებია, გამოსახული პროცენტებში;

Tariff_i - i-ური ქვეყნისთვის შეწონილი საშუალო სატარიფო განაკვეთია, გამოსახული პროცენტებში;

(ტარიფის მინიმალური მნიშვნელობა, ბუნებრივია, ნულის ტოლი შეიძლება იყოს, ხოლო, მაქსიმალურ მნიშვნელობად დადგენილია- 50%.)

NTB: - არასატარიფო ბარიერების კომპონენტი აკლდება მთლიან ქულას და შესაბამისი შკალის მიხედვით, ღებულობს შემდეგ მნიშვნელობებს - 5, 10, 15,20.

- 20 - არასატარიფო ბარიერები გამოიყენება საქონელის უმეტეს რაოდენობაზე და/ან მნიშვნელოვნად აფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას;
- 15 - არასატარიფო ბარიერები ფართოდ გამოიყენება ბევრ საქონელზე და/ან აფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას;
- 10 - არასატარიფო ბარიერები გამოიყენება კონკრეტული საქონლისა და მომსახურების დაცვის მიზნით და ნაკლებად აფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას;
- 5 - არასატარიფო ბარიერები ნაკლებად გამოიყენება მცირე რაოდენობის საქონელისა და მომსახურების დაცვის მიზნით და უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე;
- 0 - არასატარიფო ბარიერები არ გამოიყენება.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკაში არასატარიფო ბარიერების მოცულობა, მეთოდოლოგიის მიხედვით, განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ასევე, ხარისხობრივი ინფორმაციის საფუძველზე. შემზღუდავი კანონები, რაც ვაჭრობის განვითარებას უშლის ხელს დიდ დიაპაზონში მერყეობს და მათი კომპლექსურობის გაზომვა საკმაოდ რთულია. არასატარიფო ბარიერები, რომლებიც აქ გამოიყენება, შემდეგია :

- რაოდენობრივი შეზღუდვები - საიმპორტო კვოტები, ექსპორტის შეზღუდვა, იმპორტ-ექსპორტის ემბარგო და აკრძალვები, შემხვედრი ვაჭრობა;
- საფასო შეზღუდვები - ანტიდემპინგური ბაჟი, საკომპენსაციო ბაჟი;
- რეგულაციური შეზღუდვები - ლიცენზირება; სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები, უსაფრთხოება და სამეწარმეო სტანდარტებზე რეგულაციები; შეფუთვა, მარკირება, სასაქონლო ნიშანზე რეგულაციები; რეკლამირებასა და საინფორმაციო საშუალებებზე რეგულაციები;
- საბაჟო შეზღუდვები - წინასწარ დეპოზიტის მოთხოვნა, საბაჟო შეფასების პროცედურები, საბაჟო კლასიფიკაციის პროცედურები, საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლების პროცედურები;
- მთავრობის პირდაპირი ჩარევა - სუბსიდიები; მთავრობის სამრეწველო პოლიტიკა; მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევითი და ტექნოლოგიური ხასიათის ღონისძიებები; კონკურენციის პოლიტიკა; სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა; სახელმწიფო მონოპოლოები, ექსკლუზიური

ფრანჩაიზები.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აღნიშნული კომპონენტის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ბანკი, *მსოფლიო განვითარების ინდიკატორები*; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, *სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვა*; მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთება; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები და სხვა.

ინვესტირების თავისუფლება

ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყანაში არ არსებობს შეზღუდვები ინვესტიციების შემოდინებაზე, ინდივიდებსა და ფირმებს უფლება აქვთ საკუთარი რესურსების თავისუფლად გადაადგილების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მსგავსად იდეალური სახელმწიფო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ამ კომპონენტში 100 ქულას მიიღებდა, თუმცა, პრაქტიკაში, ქვეყნების უმეტესობას აქვს რიგი შეზღუდვებისა ინვესტიციებზე. ზოგჯერ განსხვავებული ნორმები არსებობს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების შესახებ, ან მრეწველობის ცალკეული დარგები შეიძლება დახურული იყოს უცხოური ინვესტიციებისათვის და ა.შ.

ინდექსი აფასებს იმ რეგულაციურ შეზღუდვებს, რომლებიც ინვესტიციებზეა დადებული. თითოეული ქვეყნისათვის, ქვემოთ მოცემული შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში, 100 ქულას აკლდება მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული ქულები. იმ უმცირეს შემთხვევებში, როდესაც შეზღუდვებისთვის გათვალისწინებულ ქულათა ჯამი 100-ს გადააჭარბებს, ქვეყანა ამ კომპონენტში ფასდება 0 ქულით.

სამართლებრივი აქტი უცხოური ინვესტიციებისთვის

- არ არსებობს ასეთი, წინასწარი შემოწმება -25
- სამართლებრივი აქტი, წინასწარი შემოწმება -15
- სამართლებრივი აქტი ან წინასწარი შემოწმება -5

უცხოური ინვესტიციების კოდექსი

- გაუმჭვირვალობა და დიდი ბიუროკრატია -20

- არაეფექტიანად პოლიტიკის გატარება და ბიუროკრატია -10
- არაგამჭვირვალედ ან არაეფექტიანად განხორციელებული საინვესტიციო კანონები და პრაქტიკები -5

შეზღუდვები მიწის საკუთრებაზე

- რეალური ქონების შესყიდვის აკრძალვა -15
- რეალური ქონების შესყიდვის აკრძალვა უცხოელებისთვის -10
- რეალური ქონების შესყიდვაზე მცირედი აკრძალვები -5

შეზღუდვები დარგობრივ ინვესტიციებზე

- შეზღუდვები მრავალ დარგზე -20
- შეზღუდვები რამდენიმე დარგზე -10
- შეზღუდვები 1 ან 2 დარგზე -5

ინვესტიციების კონფისკაცია სამართლიანი ანაზღაურების გარეშე

- გავრცელებულია, იურიდიული გამოსავალის არსებობის გარეშე -25
- გავრცელებულია, არსებობს იურიდიული გამოსავალი -15
- არ არის გავრცელებული, მაგრამ მომხდარა -5

უცხოური ვალუტის კონტროლი

- არ აქვთ წვდომა უცხოელებსა და რეზიდენტებს -25
- აქვთ წვდომა, მხოლოდ შეზღუდული -15
- აქვთ წვდომა, მცირედი შეზღუდვებით -5

კაპიტალის კონტროლი

- არ არსებობს მოგების რეპატრიაცია, ყველა ტრანზაქციას -25

სახელმწიფოს მხრიდან თანხმობა სჭირდება

- კაპიტალის შედინება და გადინება თანხმობას საჭიროებს -15

და არსებობს შეზღუდვები

- ტრანსფერების უმეტესობა მიღებულია, მცირედი შეზღუდვებით -5

ამასთან, დამატებით 20 ქულამდე დაკლების შესაძლებლობა არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობისას, ინვესტიციებისთვის საჭირო პირველადი ინფრასტრუქტურის ნაკლებობისას და მთავრობის მიერ ისეთი პოლიტიკის გატარებისას, რაც ხელს უშლის ინვესტირების თავისუფლებას.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აღნიშნული კომპონენტის შეფასებისას შემდეგ წყაროებს ეყრდნობა : მსოფლიო ბანკი; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, თითოეული ქვეყნისთვის ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები და სხვ.

ფინანსური თავისუფლება

ფინანსური თავისუფლების კომპონენტი საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ინდიკატორია, ისევე როგორც, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და ფინანსურ სექტორში ჩარევის მაჩვენებელი. ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების სახელმწიფო საკუთრება ამცირებს კონკურენციას და ზოგადად, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დონეს.

იდეალური საბანკო და ფინანსური გარემო ხასიათდება სახელმწიფოს მხრიდან ჩარევების მინიმალური დონით, დამოუკიდებელი ეროვნული ბანკით, ასევე, ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება იმისათვის, რომ შესრულებული იყოს სახელმწიფო ვალდებულებები, ხოლო თაღლითობა თავიდან არიდებული, შეზღუდულია. ფინანსური ინსტიტუტები მრავალმხრივ მომსახურებას სთავაზობენ ინდივიდებსა და კომპანიებს. ბანკებს თავისუფლად შეუძლიათ კრედიტის გაცემა, დეპოზიტების მიღება და რიგი ოპერაციების შესრულება უცხოურ ვალუტაზე. ამასთან ერთად, უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიც თავისუფლად მოქმედებენ და ისევე განიხილებიან, როგორც ადგილობრივი ინსტიტუტები.

ფინანსური თავისუფლების კომპონენტის საბოლოო ქულის მისაღებად გაითვალისწინება შემდეგი:

- ფინანსურ მომსახურებაზე სახელმწიფოს რეგულაციების დონე;
- ბანკებისა და სხვა ფინანსური ფორმების საქმიანობაში სახელმწიფოს ინტერვენციის ხარისხი;
- სახელმწიფოს ზეგავლენა კრედიტის გაცემაზე;
- ფინანსური და კაპიტალური ბაზრების განვითარების დონე;
- უცხოური კონკურენციისადმი ღიაობა.

საბოლოო ქულა მერყეობს 0-დან 100-მდე, სადაც 100 იდეალურ მდგომარეობას გამოსახავს.

3.2 ისტორიული ანალიზი ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრის გამოყენებით

მრავალცვლადიანი დროითი მწკრივების მეთოდები ფართოდ გამოიყენება ეკონომისტებისა და ეკონომეტრიკოსების მიერ ემპირიული მიდგომისას. ამ დარგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ვექტორული ავტორეგრესიისა და კონტეგრაციის განვითარება. ვექტორული ავტორეგრესია წარმოდგენილია სიმსის მიერ (Sims, 1980), ხოლო კონტეგრაცია გრენჯერის (Granger, 1988), გრენჯერისა და ინგლისის მიერ (Engle and Granger, 1987). მათი ნაშრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი სქემა როგორც გრძელვადიანი, ასევე, მოკლევადიანი ეკონომიკური ურთიერთობების დასახასიათებლად.

ვექტორული ავტორეგრესიული ანალიზისთვის გამოყენებულია წლიური მონაცემები, 1996 წლიდან 2017³ წლის ჩათვლით. მოდელი არ მოიცავს ეგზოგენურ ცვლადს და ენდოგენურ ცვლადებად გათვალისწინებულია გამოშვების გეპი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომელიც Heritage Foundation-ისა და The Wall Street Journal⁴-ის მიერაა შედგენილი და ინფლაციის დონე.

ნაშრომში განხილული მოდელის მიზანია შეაფასოს ეკონომიკური თავისუფლების გავლენა გამოშვებაზე, თავის მხრივ, გამოშვების გეპის შეფასება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას.

გამოშვების გეპი, დროის t მომენტისთვის, განისაზღვრება როგორც სხვაობა გამოშვების ფაქტობრივ და პოტენციურ დონეებს შორის.

$$\text{gap_gdp}_t = y_t - y_t^*$$

აღსანიშნავია, რომ მოდელში გამოშვების გეპის გათვალისწინება პრობლემურია, რადგან პოტენციური გამოშვება, რომელიც საქონლისა და მომსახურების ის მაქსიმალური რაოდენობაა, რომლის წარმოებაც ეკონომიკას შეუძლია სტაბილური ინფლაციის პირობებში, არადაკვირვებად სიდიდეს წარმოადგენს. თუმცა, არაერთი ეკონომეტრიკული და სტატისტიკური მეთოდი არსებობს, რის საფუძველზეც შესაძლებელია გამოშვების პოტენციური დონის შეფასება. ერთ-ერთ ასეთ ფართოდ გავრცელებულ სტატისტიკურ მეთოდს წარმოადგენს ჰოდრიკ-პრესკოტის (HP filter) ფილტრი (Hodrick R.J., and Prescott E.C, 1997, 3) რომელიც შემუშავებულია ჰოდრიკისა და პრესკოტის მიერ 1997 წელს.

³ GDP-ს შესახებ დაზუსტებული მონაცემი 2018 წლისთვის ქვეყნდება 2019 წლის 15 ნოემბერს.

⁴ Heritage Foundation Data. The Index of Economic Freedom. Available at: <https://www.heritage.org/index/explore>

HP ფილტრის გამოყენების იდეა დაკავშირებულია დროითი მწკრივების დეკომპოზიციასთან, ანუ, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი მოიცავს ციკლურ და ტრენდულ კომპონენტებს. HP ფილტრი, დროის მოცემულ ინტერვალზე, თითოეული დაკვირვებისათვის ფაქტობრივ და პოტენციურ მშპ-ს შორის სხვაობების კვადრატების მინიმიზაციას აკეთებს, პოტენციური მშპ-ს ვარიაციის შეზღუდვის პირობებში. რაც გამოისახება შემდეგი ფორმულით (Lütkepohl, H., 2004,20):

$$\min \sum_{t=1}^T [(y_t - \mu_t)^2 + \lambda \{(\mu_{t+1} - \mu_t) - (\mu_t - \mu_{t-1})\}^2]$$


სადაც ,

y_t -რეალური მთლიანი შიდა პროდუქტია,

μ_t - ტრენდის კომპონენტი,

λ - სიგლუვის პარამეტრი, რომლის მნიშვნელობა ასის ტოლად ითვლება, წლიური მონაცემების შემთხვევაში.

ზემოთ აღნიშნული მეთოდის საფუძველზე, შეფასებულია გამოშვების გეპი, ხოლო დამოკიდებულება რეალურ მშპ-ს, მის ტრენდსა და გეპს შორის გრაფიკულად, პროგრამა EViews-ის დახმარებით, შემდეგნაირად გამოისახება :



დიაგრამა 3.1. ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრი ($\lambda=100$).

ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებაში უმნიშველოვანესი როლი უკავია არჩეული პოლიტიკის კურსს, თავდაპირველ მდგომარეობასთან ერთად. საქართველოს

მაგალითი ეთანხმება ჰიპოთეზას რომ იმ ქვეყნებმა, სადაც უფრო რადიკალური რეფორმები გატარდა, უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით (Papava 2002, 13).

დროში გაწეული შოკური თერაპიის სქემის რეალიზაციის შედეგად, 1995 წლიდან, მანამდე არსებული ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა (პაპავა 2015, 54). როგორც გრაფიკიდან ჩანს, 1996-1997 წლებში გამოშვების გეპი დადებითია, რაც დაკავშირებულია 1995 წელს გატარებულ მონეტარულ რეფორმასთან, 2 ოქტომბრიდან ლარი იქნა შემოდებული ბრუნვაში ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად, ქვეყნაში არსებული პოლიტიკური ვითარებაც დასტაბილურდა, ასევე, 1997 წელს შემოსულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 242,6⁵ მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა წინა წლის მაჩვენებელი მხოლოდ 3.8-ის ტოლი იყო.

1998 წლიდან რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია რუსეთის 1998 წლის აგვისტოს ფინანსურ კრიზისთან (პაპავა 2015, 57-59).

1999-2004 წლების განმავლობაში, გამოშვება ჩამორჩება მის პოტენციურ დონეს, 2004 წლიდან ეკონომიკა ზრდას იწყებს 2008 წლის მეორე ნახევრამდე, ფაქტობრივი გამოშვება მნიშვნელოვნად აღემატება პოტენციურ დონეს, რაც დაკავშირებულია გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებთან. მოცემული დროითი ინტერვალის განმავლობაში, რეალური მშპ-ს გადახრა პოტენციური დონიდან ყველაზე მაღალია 2007 წლის ბოლოსთვის, რაც, შესაბამისად, აისახა ფასების დონეზე და ამ პერიოდის განმავლობაში ინფლაციაც ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

2008 წლის მეორე ნახევრის შემდეგ კი, შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რეალური მთლიანი პროდუქტი შემცირებას იწყებს, 2009 წელს გეპი უარყოფითი ხდება, რაც, ასევე, აისახა ინფლაციაზე, შემცირების მიმართულებით, და დადებით მაჩვენებელს 2011 წლისთვის აღწევს.

2015 წლიდან გამოშვების გეპი უარყოფითია, მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი, რომელმაც კლება 2014 წლის მესამე კვარტალში დაიწყო, პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ HP ფილტრის გამოყენებას, სიმარტივესთან ერთად, ნაკლოვანებებიც ახლავს თან, საუბარია ე.წ. „ბოლო წერტილის ცდომილებაზე“. აღნიშნული მეთოდოლოგიით, მშპ-ს პოტენციური დონე ბოლო წლებისთვის მომავალ მნიშვნელობებს ვეღარ ითვალისწინებს და მხოლოდ წარსულ მონაცემებზე დაყრდნობით ფასდება.

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

3.3 ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი საქართველოსთვის

ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის ასაგებად, პირველ რიგში, ცვლადები უნდა შევამოწმოთ სტაციონალურობაზე.

ცხრილი 3.1 მშპ-ს გეპის შემოწმება ერთეულოვანი ფესვის არსებობაზე

Null Hypothesis: GAP_GDP has a unit root

Exogenous: Constant

Bandwidth: 1 (Newey-West automatic) using Bartlett kernel

	Adj. t-Stat	Prob.*
Phillips-Perron test statistic	-2.390558	0.1560
Test critical values:		
1% level	-3.788030	
5% level	-3.012363	
10% level	-2.646119	

*MacKinnon (1996) one-sided p-values.

Residual variance (no correction)	8.517292
HAC corrected variance (Bartlett kernel)	10.72926

ცხრილი 3.2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შემოწმება ერთეულოვანი ფესვის არსებობაზე

Null Hypothesis: FREEDOM has a unit root

Exogenous: Constant

Bandwidth: 6 (Newey-West automatic) using Bartlett kernel

	Adj. t-Stat	Prob.*
Phillips-Perron test statistic	-2.455271	0.1399
Test critical values:		
1% level	-3.788030	
5% level	-3.012363	
10% level	-2.646119	

*MacKinnon (1996) one-sided p-values.

Residual variance (no correction)	4.576509
HAC corrected variance (Bartlett kernel)	1.021402

ცხრილი 3.3 ინფლაციის შემოწმება ერთეულოვანი ფესვის არსებობაზე

Null Hypothesis: INFLATION has a unit root

Exogenous: Constant

Lag length: 0 (Spectral OLS AR based on SIC, maxlag=4)

Sample (adjusted): 1997 2017

Included observations: 21 after adjustments

	P-Statistic
Elliott-Rothenberg-Stock test statistic	2.595319
Test critical values:	
1% level	1.870000
5% level	2.970000
10% level	3.910000

*Elliott-Rothenberg-Stock (1996, Table 1)

ზემოთ მოცემული ცხრილების მიხედვით, მნიშვნელოვნების 5 %-იანი დონისათვის ვერ უარყოფთ ნულოვან ჰიპოტეზებს, ერთეულოვანი ფესვის არსებობის შესახებ, შესაბამისად, სამივე ცვლადი არასტაციონალურია და პირველი რიგის ინტეგრაციულ პროცესებს წარმოადგენენ.

ცხრილი 3.4 ლაგების ოპტიმალური რაოდენობის შერჩევის კრიტერიუმი

VAR Lag Order Selection Criteria

Endogenous variables: GAP_GDP INFLATION FREEDOM

Exogenous variables: C

Date: 04/08/19 Time: 13:11

Sample: 1996 2017

Included observations: 17

Lag	LogL	LR	FPE	AIC	SC	HQ
0	-141.4132	NA	4800.910	16.98978	17.13682	17.00440
1	-118.7125	34.71866*	983.6448	15.37794	15.96609	15.43640
2	-111.6356	8.325737	1403.014	15.60419	16.63345	15.70650
3	-101.1530	8.632733	1696.809	15.42977	16.90014	15.57593
4	-69.31187	14.98407	294.5402*	12.74257*	14.65406*	12.93258*

* indicates lag order selected by the criterion

LR: sequential modified LR test statistic (each test at 5% level)

FPE: Final prediction error

AIC: Akaike information criterion

SC: Schwarz information criterion

HQ: Hannan-Quinn information criterion

ლაგების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ ინფორმაციული კრიტერიუმები, შედეგები მოცემულია ცხრილ 3.4-ში. კრიტერიუმთა უმრავლესობა არჩევანს აკეთებს 4 ლაგის ჩართვაზე.

მოდელის საბოლოო ფორმის განსაზღვრამდე უნდა გავაკეთოთ ტესტი კოინტეგრაციაზე, იოჰანსენის მეთოდოლოგიის მიხედვით (Johansen 1991, 1559).

ცხრილი 3.5 ტესტირება კონტეგრაციის არსებობაზე

Date: 04/08/19 Time: 13:30
 Sample (adjusted): 2000 2017
 Included observations: 18 after adjustments
 Trend assumption: Linear deterministic trend
 Series: GAP_GDP INFLATION FREEDOM
 Lags interval (in first differences): 1 to 2

Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.676202	30.83137	29.79707	0.0379
At most 1	0.379743	10.53394	15.49471	0.2419
At most 2	0.102011	1.936764	3.841466	0.1640

Trace test indicates 1 cointegrating eqn(s) at the 0.05 level

* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level

**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

ცხრილი 3.5-ის შედეგების მიხედვით, მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის შეგვიძლია უარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა ცვლადებს შორის კონტეგრაციის არარსებობის შესახებ.

აქამდე ჩატარებულ ტესტებზე დაყრდნობით მიზანშეწონილია ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელის (VECM) აგება და ლაგების ოპტიმალურ რაოდენობად გაითვალისწინება ერთი, რადგან დროითი მწკრივი შედარებით მოკლეა ხელმისაწვდომი მონაცემებიდან გამომდინარე.

ცხრილი 3.6 გამოსახავს გამოთვლის შედეგებს ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელისთვის, გვიჩვენებს ცვლადებს შორის როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან დამოკიდებულებას, მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია სტანდარტული შეცდომები, ხოლო, კვადრატულ ფრჩხილებში t სტატისტიკები.

ცხრილი 3.6 ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი (VECM), მიღებული შედეგები

Vector Error Correction Estimates

Date: 03/19/19 Time: 16:02

Sample (adjusted): 1999 2017

Included observations: 19 after adjustments

Standard errors in () & t-statistics in []

Cointegrating Eq:	CointEq1		
GAP_GDP(-1)	1.000000		
INFLATION(-1)	-0.566050 (0.29392) [-1.92589]		
FREEDOM(-1)	-0.196291 (0.08122) [-2.41669]		
C	14.96435		
Error Correction:	D(GAP_GDP)	D(INFLATION)	D(FREEDOM)
CointEq1	-0.621955 (0.24499) [-2.53866]	0.254059 (0.34669) [0.73281]	0.259513 (0.20528) [1.26418]
D(GAP_GDP(-1))	0.441334 (0.23825) [1.85241]	-0.114846 (0.33715) [-0.34064]	-0.008864 (0.19963) [-0.04440]
D(INFLATION(-1))	-0.196058 (0.19524) [-1.00417]	-0.341921 (0.27629) [-1.23755]	-0.079270 (0.16360) [-0.48454]
D(FREEDOM(-1))	0.194821 (0.32345) [0.60232]	0.127583 (0.45772) [0.27874]	-0.145268 (0.27102) [-0.53600]
C	-0.319376 (0.83043) [-0.38459]	0.068209 (1.17514) [0.05804]	1.673712 (0.69582) [2.40537]
R-squared	0.348227	0.191748	0.162565
Adj. R-squared	0.162006	-0.039181	-0.076702
Sum sq. resids	128.5229	257.3676	90.23495
S.E. equation	3.029885	4.287587	2.538770
F-statistic	1.869967	0.830331	0.679429
Log likelihood	-45.12068	-51.71746	-41.76062
Akaike AIC	5.275861	5.970259	4.922171
Schwarz SC	5.524397	6.218796	5.170707
Mean dependent	-0.207124	0.291773	1.478947
S.D. dependent	3.309830	4.205980	2.446671
Determinant resid covariance (dof adj.)	646.0273		
Determinant resid covariance	258.4486		
Log likelihood	-133.6491		
Akaike information criterion	15.96306		
Schwarz criterion	16.85780		

მიღებული შედეგების საფუძველზე მოკლევადიანი პერიოდის მოდელია:

$$\Delta \text{gap_gdp}_t = -0.621 \text{ECT}_{t-1} + 0.441 \Delta \text{gap_gdp}_{t-1} - 0.196 \Delta \text{inflation}_{t-1} + 0.195 \Delta \text{freedom}_{t-1} - 0.319$$

(s.e) (0.24499) (0.23825) (0.19524) (0.32345) (0.83043)

მთლიანი შიდა პროდუქტის გეპი აიხსნება თავისივე, ინფლაციისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების წარსული მნიშვნელობებით. ეკონომიკური თავისუფლება გამოშვების გეპზე დადებითად მოქმედებს, მისი 1 ერთეულით ცვლილება, აღნიშნულ ცვლადს 0.195 ერთეულით შეცვლის, სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში.

მნიშვნელოვანია, რომ შეცდომის შესწორების წევრს აქვს უარყოფითი ნიშანი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანს წარმოადგენს მნიშვნელოვნების 5%-იან დონეზე და გამოსახავს სიჩქარეს, რომლითაც გამოშვების გეპი დაბრუნდება წონასწორულ მდგომარეობაში, დამოკიდებულ ცვლადებში ცვლილების შემდეგ.

მიღებული შედეგების საფუძველზე კონტეგრაციული განტოლება, გრძელვადიანი პერიოდის მოდელი კი ჩაიწერება შემდეგნაირად :

$$\text{gap_gdp}_{t-1} = 0.566 \text{inflation}_{t-1} + 0.196 \text{freedom}_{t-1} + 14.964$$

(s.e) (0.29392) (0.08122)

გამოშვების გეპსა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის დადებითი დამოკიდებულებაა გრძელვადიან პერიოდშიც, კონკრეტულად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში ერთეულოვანი ცვლილება 0.196 ერთეულით შეცვლის გამოშვების გეპს, ინფლაციის უცვლელობის პირობებში.

ემპირიული შედეგები მიუთითებს რომ საქართველოს ეკონომიკის მაგალითზეც, ეკონომიკურ თავისუფლებას აქვს მნიშვნელოვნად დადებითი ზეგავლენა გამოშვების გეპზე, როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან პერიოდში. ეს მიუთითებს სავარაუდო კონფლიქტის არსებობაზეც, რადგან, ერთის მხრივ, პოლიტიკის გამტარებლებს მოქმედებისთვის დროის მოკლევადიანი პერიოდი აქვთ, მეორეს მხრივ კი, ინსტიტუციური ცვლილებების დადებითი ეფექტები ეკონომიკაზე სრულყოფილად რომ აისახოს გარკვეული დროის პერიოდი სჭირდება, რაშიც უკვე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სანდოობა.

ნაშრომში აგებული მოდელით მიღებული შედეგებისა და დასკვნების საიმედოობის შემოწმება აუცილებელია, რაც გულისხმობს ნარჩენობითი წევრების დიაგნოსტიკას. უფრო კონკრეტულად, ჩავატაროთ ტესტები სერიულ კორელაციაზე, ჰეტეროსკედასტურობაზე, სტაციონალურობაზე და მოდელის დინამიკურად სტაბილურობაზე.

ცხრილი 3.7 ტესტირება სერიული კორელაციის არსებობაზე

VEC Residual Serial Correlation LM T...
 Null Hypothesis: no serial correlation a...
 Date: 04/08/19 Time: 14:46
 Sample: 1996 2017
 Included observations: 19

Lags	LM-Stat	Prob
1	10.84768	0.2863

Probs from chi-square with 9 df.

ცხრილი 3.7-ის მიხედვით, მნიშვნელოვნების 5%-იან დონეზე ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას სერიული კორელაციის არარსებობის შესახებ.


ცხრილი 3.8 ტესტირება ჰეტეროსკედასტურობის არსებობაზე

VEC Residual Heteroskedasticity Tests: No Cross Terms (only levels and squares)
 Date: 04/08/19 Time: 14:49
 Sample: 1996 2017
 Included observations: 19

Joint test:		
Chi-sq	df	Prob.
55.15664	48	0.2223

ცხრილი 3.8-ის მიხედვით ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, შედეგად, აგებული მოდელი ჰომოსკედასტურია.

Inverse Roots of AR Characteristic Polynomial



დიაგრამა 3.2 ტესტირება მოდელის დიმანიკურად სტაბილურობაზე (Inverse Roots of AR Characteristic Polynomial).

დიაგრამა 3.2-ის მიხედვით შეფასებული VECM მოდელი სტაბილურია, რადგან ფესვები მოდულით ერთზე ნაკლებია და ერთეულოვანი წრის შიგნით მდებარეობს, გარდა ერთი ფესვისა, რომელიც ერთის ტოლია და მიუთითებს რომ ნამდვილად არსებობს კონტეგრაცია.

ცხრილი 3.9 ტესტირება ნარჩენობითი წევრების ნორმალურად განაწილებაზე

VEC Residual Normality Tests

Orthogonalization: Cholesky (Lutkepohl)

Null Hypothesis: residuals are multivariate normal

Date: 04/08/19 Time: 15:11

Sample: 1996 2017


Included observations: 19

Component	Skewness	Chi-sq	df	Prob.
1	0.149256	0.070545	1	0.7905
2	-0.370684	0.435121	1	0.5095
3	0.135053	0.057757	1	0.8101
Joint		0.563424	3	0.9048

Component	Kurtosis	Chi-sq	df	Prob.
1	2.294009	0.394585	1	0.5299
2	2.302276	0.385398	1	0.5347
3	2.974223	0.000526	1	0.9817
Joint		0.780510	3	0.8541

Component	Jarque-Bera	df	Prob.
1	0.465131	2	0.7925
2	0.820519	2	0.6635
3	0.058283	2	0.9713
Joint	1.343934	6	0.9692

ცხრილი 3.9-ის მიხედვით ვერ უარვყოფთ ნულოვან ჰიპოთეზას, შესაბამისად, ნარჩენობითი წევრები მულტიპარამეტრულად ნორმალურად არიან განაწილებულნი.



დიაგრამა 3.3 ტესტირება მოდელის დინამიკურად სტაბილურობაზე (CUSUM).

დიაგრამა 3.3 გამოსახავს CUSUM-ის ტესტის შედეგებს, რის მიხედვითაც მოდელი დინამიკურად სტაბილურია, რადგან მიღებული გრაფიკი მდებარეობს 5%-იან კრიტიკულ წრფეებს შორის.

ნარჩენობითი წევრების დიაგნოსტიკის შედეგად, მოდელი გამართულია და მიღებული შედეგები სანდოა.

მიღებული შედეგების საფუძველზე, ბოლო ოცდაორწლიანი დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოვკვეთოთ ისეთი მნიშვნელოვანი დასკვნები, როგორებიცაა:

კერძო საკუთრება და თავისუფალი ბაზარი, მოცემული სამართლებრივი ნორმების პირობებში, მეტად შედეგიანია, ვიდრე კოლექტივიზმი და სოციალიზმი.

ის მთავრობები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ეკონომიკაზე დომინირებენ, აღარიბებენ მოქალაქეებს ეკონომიკური სტაგნაციის შედეგად.

კონკურენცია, რომელიც არ იზღუდება რეგულაციებით წყვეტს პროდუქტიულობის ამაღლებისა და რესურსების ეფექტიანად განაწილების პრობლემას ცენტრალურ დაგეგმარებაზე უკეთესად.

ქვეყნები უკეთეს შედეგებს აღწევენ როდესაც ატარებენ ღია ბაზრის პოლიტიკას ვაჭრობის, ინვესტიციებისა და საბანკო სფეროებში, ვიდრე პროტექციონიზმის პირობებში (Miller T. et al. 2019, 2).

მიუხედავად რიგი დადებითი ცვლილებებისა დროთა განმავლობაში, ამჟამად, საქართველოს ეკონომიკაში არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არსებული საბაზრო ინსტიტუტებია, რომლებმაც უნდა შექმნან სასურველი გარემო ბიზნესის განვითარებისთვის (Kakulia 2017).

ტრანსფორმაციის პროცესმა ყურადღება არსებული ეკონომიკური აზროვნებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანა, განაახლა რა ინტერესი კაპიტალიზმის კონსტრუქციულ ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების არსებობის შესახებ, რომ ტრანსფორმაციის პროცესის გასაგებად საჭიროა ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკაში და არა სტატიკურ მდგომარეობაში გაანალიზება.

დასკვნა

ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური ცვლილებები ყველაზე კომპლექსურ ეკონომიკურ-სოციალურ პროცესებად შეიძლება ჩაითვალოს. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებდნენ ინსტიტუტებისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ცვლადების მნიშვნელობაზე.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური მოდელების საკითხის კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულია ალტერნატიული ინსტიტუციური მოდელები (Marangos J, 2005a), რომლებიც განხილულია ნაშრომში. აღნიშნული თეორიული მოდელები აერთიანებს ეკონომიკური ანალიზის სამ სხვადასხვა მეთოდს - ნეოკლასიკური, პოსტკეინზიანური, მარქსისტული, ორ განსხვავებულ პოლიტიკურ სტრუქტურას - პლურალიზმი და არაპლურალიზმი, საზოგადოებრივი წყობის ოთხ განსხვავებულ მეთოდს - თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი, სოციალ-დემოკრატიული კაპიტალიზმი, საბაზრო სოციალიზმი და საბაზრო სოციალიზმი ჩინური მახასიათებლებით, ტრანსფორმაციის ორ განსხვავებულ სიჩქარეს - გრადუალიზმი და დაუყოვნებლივ ტრანსფორმაცია. შედეგად, ერთმანეთისგან განსხვავდება ეკონომიკის ტრანსფორმაციის შემდეგი ხუთი მოდელი :

- შოკური თერაპიის მოდელი;
- ნეოკლასიკურ-გრადუალისტური მოდელი;
- პოსტკეინზიანური მოდელი;
- პლურალისტურ-საბაზრო სოციალისტური მოდელი;
- არაპლურალისტურ-საბაზრო სოციალისტური მოდელი (ტრანსფორმაციის ჩინური მოდელი).

ნეოკლასიკური მოდელები, შოკური თერაპიისა და გრადუალისტური, საბაზრო მექანიზმს ეყრდნობა იმისათვის, რომ განვითარდეს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები. იმ განსხვავებით, რომ შოკური თერაპიის მიდგომა პრიორიტეტს ანიჭებს საბაზრო ურთიერთობების განვითარებას პირველ რიგში, რომელსაც შემდეგ მოჰყვება ინსტიტუტების განვითარებაც. ორივე, პოსტ-კეინზიანური და პლურალისტურ-საბაზრო სოციალისტური მოდელი კი რეკომენდაციას უწევს დაუყოვნებლივ საჭირო საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შედეგად. ასევე, ორივე მოდელისთვის ტრანსფორმაციის პროცესი გრადუალისტურია. რაც შეეხება ჩინურ მოდელს, ის უმეტესწილად დამყარებულია არაფორმალური წესების დადგენაზე.

ნაშრომში განხილული თეორიის მიხედვით, ინსტიტუციურ ევოლუციას ბიძგს აძლევს ისეთი ფაქტორების ცვლილება, როგორებიცაა : ტექნოლოგიები, სტრატეგიები, ღირებულებები და

რეკოლუციები, რაც გულისხმობს ფორმალურიდან არაფორმალურ ინსტიტუციურ ცვლილებებამდე გარდამავალ პროცესს. აღნიშნული არ არის მარტივი და გარკვეული დროის პერიოდსაც მოითხოვს, რადგან, თავდაპირველად, სანამ საზოგადოებაში მენტალური ცვლილება მოხდება და ის მიიღებს ახალ ინსტიტუტებს, ინერციულობა შეაფერხებს განვითარებას.

ნაშრომის მეორე თავში ყურადღება გამახვილებულია ინსტიტუციური ტრანსფორმაციის გამოწვევებზე საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში, ეკონომიკური თავისუფლებისა და ბედნიერების ინდექსების ჭრილში. მათთვის დამახასიათებელია რიგი სპეციფიკური ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემები, განსაკუთრებით, აღსანიშნავია დროში გაჭიანურებული ტერიტორიული კონფლიქტები. თუმცა, მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა, არსებობს მყარი საფუძველი ოპტიმიზმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები გათავისუფლდებიან კონფლიქტებისგან და იარსებებს დემოკრატიული ქვეყნები, ძლიერი ეკონომიკით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზრდის ტენდენციით ხასიათდება რეგიონში, თუმცა, საქართველოსთვის და ასევე, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვისაც, განსაკუთრებულად სუსტ მხარეს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კანონის უზენაესობის კატეგორია, რომელიც მოიცავს საკუთრების უფლებების, სასამართლოს ეფექტიანობისა და მთავრობის სამართლიანობის კომპონენტებს.

რაც შეეხება ბედნიერების ინდექსს, საქართველო რეიტინგში გასულ წელთან შედარებით დაწინაურდა და ტრენდიც აღმავალია, რეიტინგში ადგილს იუმჯობესებს სომხეთიც, აზერბაიჯანმა კი, რომელიც ლიდერია რეგიონის ქვეყნებს შორის, გასულ წელთან შედარებით, 3 ადგილით უკან გადაინაცვლა.

მაკროეკონომეტრიკული ანალიზისას ხშირად გამოიყენება ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. მოდელში გამოყენებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ზუსტად ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის შემადგენელ ძირითად ელემენტებს მოიცავს, კვლევები კი ადასტურებს ეკონომიკურ თავისუფლებასა და მშპ-ს შორის დადებით კავშირს, რასაც ეთანხმება ნაშრომში განხილული საქართველოს მაგალითიც. ინსტიტუტების როლი მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ზრდაში როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან პერიოდში. ტრანსფორმაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია არჩეული პოლიტიკის კურსს, თავდაპირველ მდგომარეობასთან ერთად. ეს მიუთითებს სავარაუდო კონფლიქტის არსებობაზეც, რადგან, ერთის მხრივ, პოლიტიკის გამტარებლებს მოქმედებისთვის დროის მოკლევადიანი პერიოდი აქვთ, მეორეს მხრივ კი, ინსტიტუციური ცვლილებების დადებითი ეფექტები ეკონომიკაზე სრულყოფილად რომ აისახოს დრო სჭირდება, რაშიც უკვე

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სანდოობა.

ინსტიტუტების განვითარება კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია რეგიონში არსებულ კულტურასა და გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზეც, შესაბამისად, განსხვავებულია ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგებიც. ინსტიტუტების ევოლუცია დამოკიდებულია თუ რამდენად სწორად შეირჩევა ხელსაყრელი მომენტი რეფორმების გატარებისათვის, მისი ხელიდან გაშვება კი არაეფექტიანი ინსტიტუტების დონეზე ჩარჩენას განაპირობებს გარკვეული დროით.

საბოლოოდ, მიუხედავად ასობით მილიონი ადამიანის ცხოვრებაზე წლობით ზემოქმედებისა, ეკონომისტებს ერთმნიშვნელოვნად სწორი პასუხების გაცემა მაინც არ შეუძლიათ განვილილ მოვლენებზე (Roland G., 2000, 20), რაც საფუძველს ქმნის ეკონომიკური აზრის მომავალი განვითარებისათვის, ინსტიტუციონალიზმის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი, ი. 2016. *დროითი მწკრივების ანალიზი*. ლექციების კურსი, თსუ.
2. ანანიაშვილი, ი. 2012. *ეკონომეტრიკა*. თბილისი: მერიდიანი.
3. გველესიანი რ. 2017. „ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები.“ *ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი*, ტ.X, #1.
4. კაკულია, ნ. 2017. *ეკონომიკის ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი*. ლექციების კურსი, თსუ, მაგისტრატურა.
5. მექვაბიშვილი, ე. 2015. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, *ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი*, ტ.VIII, #2.
6. პაპავა, ვ. 2011. *არატრადიციული ეკონომიკისი*. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.
7. პაპავა, ვ. 2015. *საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები*. თბილისი: ინტელექტი.
8. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2016. წლიური ანგარიში. თბილისი : საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2017/annualgeofinal140717.pdf>
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>
10. უელი დ.ნ. 2016. *ეკონომიკური ზრდა*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
11. ხადური, ნ., კაკულია, ნ., ჩიქოზავა მ. 2011. *მაკროეკონომიკა*. ლექციების კურსი, თსუ.
12. Aslund, A. 1992. *Post-communist economic revolutions: How big a bang?* Washington, D.C : Center for Strategic and International Studies.
13. Aslund, A. 1995. *How Russia Became a Market Economy*. Washington, D.C : Brookings Institution.
14. Aslund, A., Boone, P.P., and Johnson, S. 1996. “How to stabilize: lessons from post-communist countries.” *Brook-ing Papers on Economic Activity*, 27(1), 217–314.
15. Aslund, A. 2001. “The Myth of Output Collapse after Communism.” Carnegie Endowment, Working Paper No. 18, Washington DC.
16. Balcerowicz, L. 1993. “Common Fallacies in the Debate on the Economic Transition in Central and Eastern Europe.” EBRD Working Paper No. 11.
17. Balcerowicz, L. 1995. *Socialism, Capitalism, Transformation*. Budapest: Central European University Press.
18. Barro R. 1997. *Determinants of Economic Growth: A Cross-Country Empirical Study*. MIT Press.
19. Berggren, N. 2003. „The Benefits of Economic Freedom: A Survey.” *The Independent Review*, 8(2), 193-211. <https://ssrn.com/abstract=1177782>
20. Brockway, G.P. 1998. “Path Dependency and Animal Spirits.” *Journal of Post Keynesian Economics*, 21(1), 163–165. <http://www.jstor.org/stable/4538618>
21. De Haan et al. 2006. “Market-oriented Institutions and Policies and Economic Growth: A Critical Survey.” *Journal of Economic Surveys*, 20(2), 157-191. <https://ssrn.com/abstract=893327>

22. Dewatripont, M., and Roland, G. 1992. "The Virtues of Gradualism and Legitimacy in the Transition to a Market Economy." *The Economic Journal*, 102, 291-300. <https://doi.org/10.2307/2234514>
23. Engle, R., & Granger, C. 1987. "Co-Integration and Error Correction: Representation, Estimation, and Testing." *Econometrica*, 55(2), 251-276. <https://doi.org/10.2307/1913236>
24. Fadda, S. 2002. "Does the Change of Economic Institutions Require a Change in Value?." Working Paper No. 28, University of Rome III.
25. Finnemore, M. and Sikkink K. 1998. "International Norm Dynamics and Political Change." *International Organization*, 52(4), 887-917. <https://doi.org/10.1162/002081898550789>
26. Fligstein, N. 1996. "The Economic Sociology of the Transition from Socialism." *American Journal of Sociology*, 101(4), 1074-1081.
27. Goldsmith, A. A. 1995. "Democracy, Property Rights and Economic Growth", *The Journal of Development Studies*, 32(2), 157-174.
28. Granger C.W.J. 1988. "Some Recent Development in a Concept of Causality." *Journal of Econometrics*, 39(1), 199-211. [https://doi.org/10.1016/0304-4076\(88\)90045-0](https://doi.org/10.1016/0304-4076(88)90045-0)
29. Gwartney, J., Lawson, R., & Holcombe, R. 1999. "Economic Freedom and the Environment for Economic Growth." *Journal of Institutional and Theoretical Economics (JITE) / Zeitschrift Für Die Gesamte Staatswissenschaft*, 155(4), 643-663. <http://www.jstor.org/stable/40752161>
30. Hayek, F. A. (edited by Hamowy R.) 2011. *The constitution of liberty*. Chicago: University of Chicago Press.
31. Helliwell J.F., Layard R., and Sachs J. 2019. *World Happiness Report*. <https://s3.amazonaws.com/happiness-report/2019/WHR19.pdf>
32. Hodgson, G.M. 1988. *Economics and Institutions*. Oxford: Polity Press.
33. Hodgson, G. 1995. "The Evolution of Evolutionary Economics." *Scottish Journal of Political Economy*, 42(4), 469-488. <https://doi.org/10.1111/j.1467-9485.1995.tb01172>.
34. Hodrick R.J., and Prescott E.C. 1997. "Postwar U.S. Business Cycles: An Empirical Investigation." *Journal of Money, Credit and Banking*, 29(1), 1-16.
35. Johansen, S. 1991. "Estimation and Hypothesis Testing of Cointegration Vectors in Gaussian Vector Autoregressive Models." *Econometrica*, 59(6), 1551-1580. <https://doi.org/10.2307/2938278>
36. Kakulia, N. 2017. "The Characteristics of Transformation of Institutional Changes and Georgia." *International journal of Economics and Management Engineering*, 11(5).
37. Klaus, V. 1995. "Privatisation Experience: The Czech Case." *Policy*, 11(1). 45-47.
38. Kolodko, G. W. 2000. "Transition to a Market and Entrepreneurship: The Systemic Factors and Policy Options." *Communist and Post-Communist Studies*, 33(2), 271-293.
39. Kolodko, G. and Nuti, M. 1997. "The Polish Alternative." Working Paper, UNU/WIDER.
40. Kornai, J. 1994. "Transformational Recession: The Main Causes." *Journal of Comparative Economics*, 19(1), 39-63.

41. Kurrild-Klitgaard, P. and Berggren, N. 2004. "Economic consequences of constitutions: A theory and survey." *Journal des Economistes et des Etudes Humaines*, 14(1), 3-41.
42. Leblang, D. A. 1996. "Property Rights, Democracy and Economic Growth , Political Research Quarterly.",49 (1), 5-26.
43. Libecap, G. 1998. "The New Institutional Economics and Economic Development." Working Paper No. 4, Turin: International Centre for Economic Research.
44. Lipton, D., and Sachs, J. 1990. "Creating a Market Economy in Eastern Europe: The Case of Poland." *Brookings Papers on Economic Activity*, 1(1), 75-133.
45. Lütkepohl, H., and Kraetzig M. 2004. *Themes in Modern Econometrics: Applied Time Series Econometrics*. Cambridge: Cambridge University Press.
46. Marangos, J. 2005a. "Alternative Paths to the Transition Process." *International Journal of Social Economics*, 32(4), 307-324.
47. Marangos, J. 2005b. "Alternative Models of Transition and Institutional Development." *Global Business and Economics Review*, 7(4), 390-408.
48. Marangos, J.2007. "The Shock Therapy Model of Transition. International Journal of Economic Policy in Emerging Economies", 1(1), 88-123.
49. Miller T., Kim A.B., and Roberts J.M. 2019. *The Index of Economic Freedom*. Washington, D.C: Heritage Foundation, *The Wall Street Journal*. https://www.heritage.org/index/pdf/2019/book/index_2019.pdf
50. Nelson, M. A. and Singh R. D. 1998. "Democracy, Economic Freedom, Fiscal Policy, and Growth in LDCs." *Economic Development and Cultural Change*, 46 (4), 677-696.
51. North, D.C. 1990. *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge University Press.
52. Ostrom, E. 2005. *Understanding Institutional Diversity*. Princeton, NJ: Princeton University Press.
53. Ostrom, E. 2007. "Challenges and Growth: The Development of the Interdisciplinary Field of Institutional Analysis." *Journal of Institutional Economics*, 3(3), 239-64. <https://doi.org/10.1017/S1744137407000719>
54. Papava, V. 2002. "Leszek Balcerowicz and Georgia (a pamphlet)." Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies. <http://www.papava.info/publications/Balcerowicz.pdf>
55. Papava V., and Khaduri N. 1997. "On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation." *Problems of Economic Transition*, 40(6), 15-34.
56. Robinson, J.A., Acemoglu, D., Johnson, S. 2005. "Institutions as a Fundamental Cause of Long-Run Growth." *Handbook of Economic Growth*, 386-472.
57. Roland, G. 2000. *Transition and Economics: Politics, Markets, and Firms*. MIT Press Books, The MIT Press.
58. Sachs, J. 1991a. "Accelerating Privatisation in Eastern Europe: The Case of Poland." *World Bank Economic Review* 6: 15-31.
59. Sachs, J. 1991b."Crossing the Valley of Tears in East European reform." *Challenge*, 34(5), 26-32. <https://doi.org/10.1080/05775132.1991.11471532>
60. Scully, G. W. 1988. "The Institutional Framework and Economic Development." *Journal of Political Economy*,

96 (3), 652-662.

61. Scully, G. W. 1992. *Constitutional Environments and Economic Growth*. Princeton University Press: Princeton

62. Sims, C. 1980. "Macroeconomics and Reality." *Econometrica*, 48(1), 1-48. <https://doi.org/10.2307/1912017>

63. Tridico, P. 2011. *Institutions, Human Development and Economic Growth in Transition Economies*. Palgrave, Macmillan.

64. Veblen, T. 1898. "Why is Economics not an Evolutionary Science?" *The Quarterly Journal of Economics*, 12(4), 373-397. <https://doi.org/10.2307/1882952>

65. Veebel V., and Namm A. 2016. "Testing the Models of Transition in Practice: The Case-studies of Estonia and Slovenia." *Brazilian Journal of Political Economy*, 36(2), 389-409. <https://dx.doi.org/10.1590/0101-31572015v36n02a08>

66. Heritage Foundation Data. The Index of Economic Freedom. Available at: <https://www.heritage.org/index/explore> (Accessed March 18, 2019)

67. The World Bank Databank. World Development Indicators: Consumer Price Index (2010=100). Available at: <https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators> (Accessed March 18, 2019)

68. The World Bank Databank. World Development Indicators: GDP (constant LCU). Available at: <https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators> (Accessed March 18, 2019)